გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული“ ეწერება

ეროვნული

ფასი 50 თეთრი

№27 (1053) 11 - 12 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ჩინეთის ელჩთან

ბინ იუე: „აბრეშუმის გზა განვითარების, თანამშრომლობისა და მეგობრობის გზა უნდა იყოს“

გვ. 5

ნაციონალები ირმა ინაშვილის ბრალდებებს პასუხობენ

გვ. 4

აკაკი ბობოხიძის სკანდალური ინტერვიუ მერაბიშვილი-ახალაია-უგულავას მკვლელობის გეგმაზე

ემზარ ჯგერენაია: „მესამე მსოფლიო, ანუ სავალუტო ომისთვის საქართველო მზად არ აღმოჩნდა“

რას ნიშნავს „იაფი ფული“ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ კრიზისის დასაძლევად?

გვ. 6-7

პარლამენტში ლოკალური დაპირისპირების რეალური მიზეზი

გვ. 3

რატომ დაერივნენ „მეოცნებეები“ ერთმანეთს და ვის მოუწევს თანამდებობის დატოვება

ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრები შველას ითხოვენ

რას პასუხობენ მათ სასჯელაღსრულების სამინისტროდან

გვ. 8

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისა და პოლიციელისთვის შეუფერებელი ქმედებისთვის შსს-ს თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს

გვ. 8

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მეტადონი ამოიღო

გვ. 2

ყველაზე მდიდარი ებრაელების სკანდალური სია

ათეული მიღიარდებად შეფასებული ქონება და ქველმოქმედება სახელწოდებით — „ოფერი“

გვ. 9

რატომ ცდილობს კრემლი ნემცოვის მკვლელობის საქართველოსთვის გადმობრალებას და რისთვის ემზადება რუსეთი აფხაზეთში

გვ. 7

ოთხ რეგიონში საპატრულო პოლიციას ახალი უფროსები ჰყავს

საქართველოს ოთხი რეგიონის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთავარ სამმართველოში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის, აჭარის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მთავარ სამმართველოებს ახალი უფროსები ეყოლებათ: **„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი იქნება ზაალ ფუტკარაძე. აჭარაში ამავე თანამდებობას დავით მამულაშვილი დაიკავებს. ცვლილებაა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების მთავარ სამმართველოებშიც, სადაც უფროსის პოსტს, შესაბამისად, თემურ კუპატაძე და კახაბერ ბუხრაძე დაიკავებენ“.**

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 13 მარტს დანიშნა

შესაბამისი განკარგულება გიორგი მარგველაშვილმა უკვე გამოსცა, რომლის თანახმად, რიგგარეშე სხდომა 13 მარტს, 12:00 საათზე დაიწყება.

პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხებია ეროვნული ვალუტის. ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

პრეზიდენტს რიგგარეშე სხდომის მოწვევით გასულ კვირას ნაციონალურმა მოძრაობამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მიმართეს, თუმცა მაშინ მარგველაშვილმა სხდომის მოწვევაზე უარი განაცხადა.

9 მარტს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა რიგგარეშე სხდომის მოწვევის გადაწყვეტილება მიიღო.

რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნის შემდეგ, პოზიცია დააფიქსირა საპარლამენტო უმრავლესობამ. უმრავლესობის ლიდერების განმარტებით, ისინი საგანგებო სხდომაზე დასწრებას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ ოპოზიციას რიგგარეშე სხდომის მოწვევა საკუთარი მიზნებისთვის სჭირდება.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, ოპოზიციამ პრეზიდენტი დაითანხმა, საგანგებო სხდომა მოეწვია: **„რატომღაც, როდესაც არასასესიო კვირაა, ისევ რიგგარეშე სხდომის მოწვევა ჩათვალა ოპოზიციამ საჭიროდ. როგორც ჩანს, მათ საქმიანი განხილვის მაგივრად მხოლოდ რიგგარეშე სხდომის მოწვევით უნდათ ამ თემით მანიპულირება. ამ შემთხვევაში მათ უკვე დაითანხმეს პრეზიდენტი ამაზე, მე პირადად არ ჩავალ ამ სხდომაზე“.**

მანამდე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა უარი განაცხადეს პრეზიდენტთან შეხვედრაზე. ამის შესახებ ინფორმაცია ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძემ გაავრცელა. მისი განმარტებით, უმრავლესობის პრეზიდენტთან შეხვედრის გადადების მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ მან პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა და შესაბამისი სამართლებრივი აქტი პარლამენტმა უკვე მიიღო: **„უმრავლესობის მხრიდან იყო მოსაზრება, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა არ გამართულიყო. თუმცა რიგგარეშე სხდომა პრეზიდენტმა დანიშნა, ამის გამო ჩვენ თავს ვიკავებთ შეხვედრისგან“.**

ამ განცხადების გავრცელების შემდეგ, კოალიციის წევრები უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის კაბინეტში შეიკრიბნენ. მათ დახურულ ფორმატში წარმართეს კონსულტაცია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც დაესწრო.

საქართველოს პრეზიდენტისა და უმრავლესობის წევრების შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში 10 მარტს, 13.00 საათისთვის იყო დანიშნული. შეხვედრის თემა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება იყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრა დავით საგანელიძის თხოვნით გადაიდო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის, თინათინ მჟავანაძის განცხადებით, აღნიშნული თხოვნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სწორედ საგანელიძე დაუკავშირდა. მისი ვარაუდით, პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შორის შეხვედრა „რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გაიმართება“.

„პირველი“

ქრთამის აღების ფაქტზე საჯარო მოხელე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, კურბანალ კარაევმა ერთ-ერთი საწარმოს დირექტორს ქრთამის სახით 4 000 ლარი მოსთხოვა: **„გამოძიებით დადგენილია, რომ ლისის ტერიტორიულ ორგანოში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის წარმომადგენელმა კურბანალ კარაევმა სოფელ ნაფეტვრების ტერიტორიაზე განთავსებული სამშენებლო ნარჩენების უკანონოდ მოწყობილ ნაგავსაყრელზე, სამშენებლო ნარჩენების გადაყრის უფლებისა და შემდგომში მფარველობისა და საჯარიმო სანქციისგან არიდების სანაცვლოდ, ერთ-ერთი საწარმოს დირექტორს ქრთამის სახით 4 000 ლარი მოსთხოვა.**

საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“.

„პირველი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მეჭადონი ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1957 წელს დაბადებული დავით მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 15 შეკვრა და ერთი ნატეხი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 3,7671 გრ მეტადონს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით დავით მ-ს მეტადონის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შინაგან საქმეთა მინისტრი აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებთან — დემიან ბრიკკოსთან და ქეითი ქენინგთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის არსებული თანამშრომლობის სფეროები, მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები განიხილეს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების, გამოძიების ფედერალური ბიუროს შემდგომი მხარდაჭერისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობა. საუბარი შეეხო სტრატეგიული პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებს ტრანსსასაზღვრო დანაშაულის, ტერორიზმის, კიბერდანაშაულისა და კიბერტერორიზმის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი მიმართულებების კუთხით. დასასრულს, მხარეებმა ხაზი გაუსვეს სამომავლო თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობას და ნაყოფიერ და წარმატებულ შედეგებზე ორიენტირებული ერთობლივი პროექტების განხორციელების საჭიროებას.

„ვერსიანიუსი“

პრემიერ-მინისტრი ეუთო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა

შეხვედრის მთავარი თემები საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის მნიშვნელობა, საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობა და რუსეთის მიერ დე ფაქტო რეჟიმებთან ე.წ შეთანხმების გაფორმება იყო.

მხარეებმა კონფლიქტისპირა სოფლებში არსებული ჰუმანიტარული ვითარება დეტალურად განიხილეს და იმ პროგრამებზე ისაუბრეს, რომელსაც საქართველოს მთავრობა მოსახლეობის დახმარების მიზნით ახორციელებს.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოითქვა შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან ე.წ მოკავშირეობის შეთანხმებების გაფორმებასთან დაკავშირებით, რასაც საქართველოს ხელისუფლება რეგიონების ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

საუბრის ერთ-ერთი თემა იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პოზიტიური დინამიკა ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში პოლიტიკურ ვითარებას არ ცვლის, რადგან საქართველოს მთავრობის კონსტრუქციულ მიდგომას რუსეთი ადეკვატურად არ პასუხობს.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მნიშვნელობაზე, რომლის მორიგი, 31-ე რაუნდი შვეიცარიაში 17-18 მარტს გაიმართება.

„პირველი“

დავით ნარმანია საკრებულოს დიმიტრი ქუმსიშვილისა და ირაკლი ლექვინაძის კანდიდატურებს 12 მარტს წარუდგენს

დედაქალაქის მერი, დავით ნარმანია ახალ მოადგილეებს დიმიტრი ქუმსიშვილსა და ირაკლი ლექვინაძეს ხუთშაბათს, 12 მარტს წარადგენს.

დავით ნარმანია დარწმუნებულია, რომ თბილისის საკრებულო წარდგენილ კანდიდატებს მხარს დაუჭერს: **„წარდგენა მოხდება ხუთშაბათს, რათა საკრებულომ პროცედურის შესაბამისად დაიწყოს განხილვები. ეს ადამიანები არიან პროფესიონალები, აქვთ სათანადო გამოცდილება, უნარ-ჩვევები, პრინციპულობა, რომ ერთად ვაკეთოთ ის საქმე, რასაც წინასაარჩევნოდ ამომრჩეველს დავპირდით“.**

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ საქართველოში უკანონოდ შემოტანილი 19 488 აბი პრეგაბალინის შემცველი ფსიქოტროპული საშუალება ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების, ამავე დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს, კონტრდაზვერვის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით პრეგაბალინის შემცველი ფსიქოტროპული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში საქართველოს მოქალაქეები — 1989 წელს დაბადებული სანხან მ. და 1974 წელს დაბადებული ელმარ დ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა სანხან მ-ს და ელმარ დ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანების ჩხრეკისას, სპეციალური სამალავიდან 19 488 აბი პრეგაბალინის შემცველი ფსიქოტროპული საშუალება ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 263-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პარლამენტში ლოკალური დაპირისპირების რეალური მიზეზი

რაფომ დაერივნენ „მეოცნებეები“ ერთმანეთს და ვის მოუნევს თანამდებობის დაფოვება

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებული იატაკქვეშა დაპირისპირება ჯერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურის წამოყენებამ გააშიშვლა, მერე პარტია „ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივნის, არმაზ ახვლედიანის განცხადებამ. ამიტომაც ბოლო რამდენიმე კვირაა, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ვარსკვლავური ომების მომსწრე ვართ, რაშიც საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტიც ღიად ჩართო, თუმცა საკითხავია, მიძინებული პარლამენტი ასე გვენეტაძის კანდიდატურის განხილვამ გამოაცოცხლა თუ კოალიციის შიგნით ახალი, გადახალისებული საარჩევნო სიის ფორმირებამ, ძველი სახეების გარეშე.

გვენეტაძის კანდიდატურის გარშემო თითქოს ჩამცხრალმა სკანდალმა ახალი ძალით მას მერე იფეთქა, რაც „ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივანმა **არმაზ ახვლედიანმა** ტელეეთერში განაცხადა, ვინც ხმას გვენეტაძეს არ მისცემს, მას პარტიიდან გააძევებენო. მართალია, ეს მისი ნათქვამის უტრირებაა, რაც დეპუტატებმა ხელზე წარმატებით დაიხვიეს, თუმცა ახვლედიანი გარკვეულ სანქციებზე მართლაც ალაპარაკდა. მან სიტყვასიტყვით ასე განაცხადა, რომ „ოცნებაში“ ყველა მხარს უჭერს ნინო გვენეტაძის კანდიდატურას, მათ შორის პრემიერიც და პარტია „ოცნების“ პოლიტსაბჭოც და რომ **„პატივი უნდა ვცეთ განსხვავებულ აზრს, უნდა მოვისმინოთ ყველა კოლეგის მოსაზრება და არგუმენტი, მაგრამ, როცა საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, ამ გადაწყვეტილებას პატივიც უნდა ვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიული დისციპლინა ამოქმედდება, რაც სანქციებსაც გულისხმობს“.** ახვლედიანს სანქციის ტიპი არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ნახევარი პარლამენტი გადაიმტერა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე** იყო — ახვლედიანმა არამარტო საკუთარ უფლებამოსილებას გადაამეტა, არამედ დეპუტატებსაც და ნინო გვენეტაძესაც შეურაცხყოფა მოგვაყენაო. მეტიც, მისი თქმით, ჯერ „ოცნების“ ფრაქციას გვენეტაძის მხარდაჭერის საკითხი არც განუხილავს და ამას, მათ ნაცვლად, ვერც პოლიტსაბჭო გადაწყვეტდა. ხუნდაძემ ახვლედიანის მბრძანებლური ტონი გააკრიტიკა და დასძინა, მადლობა ღმერთს, დღეს განსხვავებული აზრისთვის აღარავინ ისჯებაო. ხუნდაძეს მხარი მისმა მეგობარმა და ამ დაპირისპირებაში აქტიურად ჩართულმა ერთ-ერთმა დეპუტატმა **ზაქარია ქუცნაშვილმაც** დაუჭირა. „ოცნებიდან“ ახვლედიანს დეპუტატი **ზვიად კვაჭანტირაძეც** გამოეხმაურა — პოლიტსაბჭოს მდივანმა არაადეკვატური და უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთაო. ამ თემაზე პარლამენტში დეპუტატებმა თავმჯდომარესთან, დავით უსუფაშვილთანაც ვიმსჯელეთ და ყველა შეთანხმდა, რომ ეს განცხადება უადგილო იყოო. მოგვიანებით, კვაჭანტირაძემ Facebook-ზე განმარტება დაგვანია, გვენეტაძის კანდიდატურას მხარს ისედაც ვუჭერ, მაგრამ ეს არაკონსტიტუციური განცხადებები და სანქციების შიში არაფერ შუაშიაო. ერთადერთი, ვინც პოლიტსაბჭოს „შერისხულ“ ლიდერს მხარი აუბა, თავადაც „შერისხული“ **დავით საგანელიძე** იყო — „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო ნინო გვენეტაძეს მხარს უჭერს, მისი კანდიდატურა პრემიერსაც მოსწონს და იმედი მაქვს, სანქციების მიღება არ დაგვჭირდებაო. ეს ყველაფერი ერთ დღეში მოხდა და რეალურად, დიდი ომის მეორე რაუნდია. პირველი დაპირისპირება კი პარლამენტში მაშინ დაიწყო, როცა პრეზიდენტმა ნინო გვენეტაძის კანდიდატურა დაასახელა. გვენეტაძესთან ერთად, კანდიდატთა სიაში ორი დეპუტატი — ხელისუფლების წევრი ქუცნაშვილი და ალასანიას გუნდის წარმომადგენელი შავგულიძე იყვნენ. თუმცა მისმა არარჩევამ განსაკუთრებით ქუცნაშვილი გააღიზიანა, რომელმაც პრეზიდენტის არჩევანზე ზეგავლენაში ბრალი საგანელიძეს დასდო. სულ რამდენიმე კვირის წინ იგი საგანელიძეს თავნებასა და მატყუარას უწოდებდა, მისმა მომხრე 22-მა დეპუტატმა კი პეტიცია შეადგინა, სადაც თავმჯდომარეობის საგანელიძისეულ კრიტერიუმებს არაკონსტიტუციური უწოდეს.

ქუცნაშვილი კიდევ ერთ კოლეგას „ფორუმიდან“, ანი მიროტაძეს დაუპირისპირდა, რომელმაც მოკრძალებულად აღნიშნა, პოლიტიკოსი მოსამართლედ არ მინდაო. ეს სკანდალი ოდნავ რომ ჩაცხრა, პოლიტიკური რინგი სხვა დეპუტატებმა არ გააცდინეს და ამჯერად, ყურადღების ცენტრში ორი მაჟორიტარი — **ირაკლი ტრიპოლსკი** და **ელისო ჩაფიძე** მოექცნენ. ჩაფიძე ბოლო რამდენიმე დღეა აქტიურად საუბრობს გუნდში მის წინააღმდეგ დაწყებულ პროვოკაციებსა და „ჩაჩოჩების“ მცდელობაზე. როგორც ტყიბულის მაჟორიტარი ამბობს, თანაგუნდელები ებრძვიან და ტყიბულში მის საქმიანობაზე მოსახლეობას არასწორ ინფორმაციას აწვდიან. დეპუტატი ხელს განათლების მინისტრის მრჩეველს, ოთარ აბესაძეს ადებს. მისი თქმით, აბესაძეს სწორედ დუშეთის მაჟორიტარი ირაკლი ტრიპოლსკი მფარველობს და ამ ბრძოლაში მთავარი ბიზნესინტერესი მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს, ნუგზარ ყიფიანს აქვს. ერთი სიტყვით, ჩაფიძე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მისი და აბესაძის გასაჯაროებული მიმოწერიდან ჩანს, რომ ფიქრობს, მის ნაცვლად, ტყიბულში მაჟორიტარობისთვის განათლების სამინისტროს ჩინოვნიკი ემზადება. ელისო ჩაფიძე პირადი დაპირისპირების საზღვრებსაც გასცდა და განაცხადა, საქმის მიყვანა უმრავლესობის დაშლამდე სურთო. ჩაფიძემ ეს საკითხი პოლიტსაბჭოს სხდომაზეც დააყენა, მის ბრალდებებს კი ტრიპოლსკი სასტიკად უარყოფს და ირწმუნება, ჩაფიძე შეცდომაშია შეყვანილი, ეს ყველაფერი ტყუილი და სისულელეაო. გასული კვირების ეს ვრცელი მიმოხილვა, სინამდვილეში, იმ დაპირისპირების ძალიან მოკლე მონათხრობია, რაც რეალურად ხდება საქართველოს პარლამენტში. საგანელიძეს, ფაქტობრივად, არჩევნების დღიდან უმრავლესობის ათობით დეპუტატი უპირისპირდებოდა. ბევრი მას საპარლამენტო სიის არასწორად შედგენას დღემდე ედავება, მათ შორის, დეპუტატებიცა და ექსპერტებიც, ვიღაცები ნაციონალებთან თანამშრომლობაშიც ადანაშაულებენ. „ოცნების“ 14-მა დეპუტატმა კი საგანელიძის წინააღმდეგ საპროტესტო პეტიცია ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაუგზავნა შუშის სასახლეში ბიძინა ივანიშვილს. ეს ინფორმაცია, მოგვიანებით, ამ დეპუტატებთან საგანელიძის ურთიერთობის დაძაბვამაც გაამყარა. თუ ამ დეპუტატების სიას გადავხედავთ, იგი არცთუ კაშკაშა პოლიტიკური ლიდერებითაა დაკომპლექტებული და მათ შორის, ძირითადად, მაჟორიტარები არიან. სწორედ ამ სიაშია ელისო ჩაფიძეც, მურმან დუმბაძეც, რომელიც ვიცე-სპიკერობიდან საგანელიძემ გადააყენა, რამდენიმე ადამიანი პოლიტსაბჭოდან გარიცხეს. საგანელიძეს ქუცნაშვილთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აერია და უცებ, ქუცნაშვილმა „ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, მიზეზებზე კი დღემდე არც ერთ მხარეს არ უსაუბრია. გასაკვირია, რატომ ფიქრობს ხელისუფლება, რომ ამ დაპირისპირების ახსნა და განმუხტვა მხოლოდ გასული 9 წლის გახსენებითა და ნინო გვენეტაძის კანდიდატურის გარშემო დაწყებული ვითომ ჯანსაღი კამათით შეიძლება. უმრავლესობის ლიდერები და თავად ბიძინა ივანიშვილი ხომ ხშირად აკეთებენ განცხადებას ვადამდელ არჩევნებზე. ჰოდა, სადაც არჩევნებია, იქაც საარჩევნო სიებია. თუკი საარჩევნო სიებს ისევ საგანელიძე აკომპლექტებს და თან, ცხელ გულზე, წინასწარ ამბობს, მომავალ პარლამენტში არც მე ვიქნები და არც ზაქრო ქუცნაშვილიო, ლოგიკურად, წყალი იმ 14 და 22 დეპუტატსაც ხომ შეუდგება, ვინც უმრავლესობის ლიდერის წინააღმდეგ გაილაშქრა. ან რას ნიშნავს ელისო ჩაფიძისა და აბესაძის დაპირისპირება ვერგაყოფილი ტყიბულის გამო, თუ არა იმას, რომ „ოცნების“ მაჟორიტარების სიაშიც დიდი ცვლილებებია, თუ არჩევნები მაჟორიტარული წესით საერთოდ ჩატარდა. რიგგარეშე არჩევნებსაც რომ თავი დავანებოთ, მორიგი არჩევნები ისედაც კარსაა მომდგარი და დეპუტატების შიში თუ შფოთი მაინც გასაგებია. გასაგებია ისიც, რატომ ესწრაფვიან ასე მაღალ თანამდებობებს მოქმედი დეპუტატები ხელისუფლებიდან — თუ „ოცნებაში“ მართლა ახალი სიები დგება და ამ სიაში საკუთარ გვარს ვერ პოულობ, რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალი უზენაესი სასამართლოს პირველკაცობა, გარანტირებული 10-წლიანი სამსახური და სხვა სიკეთეებია. თუმცა რიგგარეშე არჩევნები ახლა არც „ოცნებას“ აწყობს, ვიდრე თარიღი და მაჟორიტარების ბედი გაურკვეველი, სიები კი ჩამოუყალიბებელია და არც ნაციონალებს, რომლებიც 21 მარტს, აქციაზე პარლამენტის კი არა, კონკრეტულად მთავრობის გადადგომას ითხოვენ. ძალიან მარტივად, ვიღებთ ვითარებას, როცა ჩიხში პრემიერი ექცევა — აი, მთავრობის დაშლა და მისი გადადგომა კი სწორედ პარლამენტის ხელშია, თან ეს ნაციონალებსაც აწყობთ და ქუჩის აქციებსაც ამ მოტივით ატარებენ. ღარიბაშვილი კი ამ დროს თავ-ფეხიანად ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მერიის პრობლემებშია გადაშვებული და ისედაც ყველა ქრთამისტი ჩინოვნიკების მოშორებას უკიჟინებს. რა იქნება ამ მოვლენების კულმინაცია და როგორ ხსნიან არსებულ ვითარებას საექსპერტო წრეებში? — **მამუკა არეშიძე** მოვლენათა განვითარების საინტერესო ვერსიას განიხილავს: **„ოცნება“ ნაჩქარევად, ბიძინა ივანიშვილის გარშემო შემოკრებილ ხალხთა და პარტიათა ერთობა რომაა, ეს არახალია. მასში არიან, პირობითად, კარგები, ცუდები, საშუალოები, უვარგისები და გენიოსები, რაც წინასაარჩევნო რეჟიმშიც ჩანდა და ახლაც ჩანს, ამიტომ აზრთა სხვადასხვაობაში გასაკვირი არაფერია. ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი ახლა 50/50-ზეა. თუმცა, ცხადია, საქმე ნინო გვენეტაძის კანდიდატურაში არ არის, საქმე მომავალ საარჩევნო მზადებას ეხება, რაც „ოცნებამ“, ფაქტობრივად, შარშან შემოდგომიდან დაიწყო. ჩემი აზრით, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, კარგი გაგებით, რეპრესიები უნდა დაიწყოს ჩინოვნიკურ აპარატში, რადგან, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ჩინოვნიკების დიდი ნაწილი კორუფციისა და ნეპოტიზმის ჭაობში იხრჩობა. ხომ გამოვიდა ღარიბაშვილი მთავრობის სხდომაზე და განაცხადა, არავის არაფერს ვაპატიებო, ჰოდა, ეს არპატიება პირდაპირ დღეიდან უნდა დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასა და მის მთავრობას საზოგადოებრივი რისხვა და პარლამენტის მიერ გადაყენება ემუქრება! მთელი ეს პროცესი, რაც ახლა პარლამენტში მიდის, ლოგიკურად, ამით შეიძლება დასრულდეს და ასე, ვადამდელ არჩევნებსაც აიცილებენ თავიდან. ირაკლი ღარიბაშვილს გადაყენება ემუქრება, თუმცა მას ამ ცვლილებების დროულად გატარების თავიც აქვს და რესურსიც — მთავარი პოლიტიკური ნებაა!“**

ვერსიანიუსი

გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ კატეგორიას საგადასახადო დავალიანების გადახდა აღარ მოუწევს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ კატეგორიას საგადასახადო დავალიანების გადახდა აღარ მოუწევს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად ჩამოწერას დაექვემდებარა: 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება; 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება; საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით: „დღეს, „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით 179 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო და 40 368 811.30 ლარი; „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით 87 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 414 550,00 ლარი; „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით 2624 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 1 874 827,40 ლარი“.

მათივე ცნობით, შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაში.

„ინტერპრესნიუსი“

„ქების მგოსნები“ ანუ რამდენიმე რჩევა მათ, ვისაც ხელისუფლებების ქება არ ეთაკილება

ლევან სეფისკვერაძე

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ ქართული მედია მათ საქმიანობას არასწორად აშუქებს და ჟურნალისტები მხოლოდ სკანდალების დევნით არიან გართულნი, ხელისუფლების წარმატებების დროს კი მთავრობის შექება ჟურნალისტებს რატომღაც ეთაკილებათ. ეს „პრობლემა“ „იმ ბრძენმა კაცმაც“ ადრე რამდენჯერმე ახსენა.

შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლების ქება-დიდება სულაც არაა მედიის საქმე და მაქებარი ჟურნალისტი ყველაფერია, ჟურნალისტის გარდა. აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჟურნალისტების ამ კუთხით სუბიექტურობაში დადანაშაულება ლამის წესად ჩამოყალიბდა, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უსამართლობაა.

ისე ნუ გამიგებთ, თავს ვიტყუებ და არ ვიცი, ზოგიერთი რა ხალხიც ბრძანდება. საქართველოში ყოველთვის იყვნენ „ქების მგოსნები“, რომლებიც აქებდნენ ყველას და ყველგან, აქებდნენ დიდი მონდომებით, შემართებით, დაუფარავად და სახალხოდ. აქებდნენ პრეზიდენტებსა და ეპისკოპოსებს, მინისტრებსა და პარლამენტარებს, პოლიციის უფროსებსა და სკოლის დირექტორებს და ყველაფერი ეს იფუთებოდა სულ რამდენიმე სიტყვით: „ეს კაცი ქართულ საქმეს აკეთებს!“ და ნაციონალური (ქართული საქმის კეთების) ნიშანი ეძლეოდა ყველაფერს — დაწყებული ბიუჯეტის ფულის ათასგვარ სისულელეებში ფლანგვითა და დამთავრებული სხვათა (პირველ ყოვლისა, ისევ და ისევ, ჟუნალისტების) დასანახად ეკლესიებში დიდ-დიდი სანთლების დანთებით.

და მაინც, რა შეგვიძლია ჩვენ ვუთხრათ მათ, ვისაც ხელისუფლების ქება არ ეთაკილება? პირველ რიგში, უნდა ვუთხრათ, რომ მათი ქმედებები შორიდანაც და ახლოდანაც გულისამრევია და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც პირში ეტყვიან, ეს „ქების მგოსნები“ რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან. ამას გარდა, შეგვიძლია, ვუთხრათ ისიც, რომ ამ ქვეყანაში მარადიული მხოლოდ უშბა, შხარა და თეთნულდია, მათი ნაქებ-ნაკოცნი ხელისუფლებები კი, როცა იქნება, აუცილებლად დაადგებიან დასასრულისკენ მიმავალ გზას და არ იქნებოდა ცუდი, ამაზეც თუ დაფიქრდებოდნენ.

ისიც სათქმელია, რომ შეიძლება, ჩვენი ხალხი დღეს ვერაა მოწოდების სიმაღლეზე და, ეკონომიკურთან ერთად, განათლების პრობლემაც, სამწუხაროდ, ძალიან მწვავედ გვიდგას, მაგრამ ხალხი ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენთანაც მაინც ადვილად ხვდება აფერისტულ ტრიუკებს და ნურავის ექნება ილუზია, რომ „ქართულ საქმედ“ შემოტენილი ათასი ჯურის ნაძირლობა არ გამომჟღავნდება. თუ ასე არაა, აგერ ვართ ჩვენ და აგერაა ქართული მედიაც, რომელიც ერთ-ერთი ავტორიტეტული ამერიკული ორგანიზაციის კვლევით, რეგიონში, თურმე, იმით გამოირჩევა, რომ ყველა ტიპის სიახლეებს თანაბრად აშუქებს და, როგორც ირკვევა, ქართველ მკითხველსა თუ ტელემაყურებელს ცნობილი მომღერლის ნიფხვის ფერზე არანაკლებად სოციალური და პოლიტიკური თემები აინტერესებს.

ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობა არც დანაშაულია და არც უბედურება. ეს კონკრეტული ჟურნალისტისა და მედიასაშუალების არჩევანია და ამაში, უბრალოდ, ვერ ჩავერევით, მაგრამ ლოიალობა გულისამრევ ქლესობას და ყველა შეცდომისა თუ დანაშაულის გამართლებას არ უნდა ნიშნავდეს. ამ ქართულ მოკლე მეხსიერებას რა ვუთხარით, თორემ ხელისუფლებების ავ საქმეებზე ხელის დაფარების ისეთი ფაქტების ამოქექვა შეიძლება, გულ-ჯიგარს მოუწამლავს ადამიანს. არადა, ეს მორალისტური საუბრებიც არ ვარგა. კარგად ვიცით, რომ მორალისტები, როგორც პიროვნებები, მწეველებზე ადრე კვდებიან...

„თუ 21 მარტს ვითარება კონტროლიდან გამოვა, პასუხს ხელისუფლებას მოვთხოვთ“

რას პასუხობს ბრალდებებს და რისკენ მოუწოდებს პარლამენტსა და პრეზიდენტს აკაკი ბობოხიძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნაციონალები საკუთარი პიარისთვის თანაგუნდელის სიცოცხლეს გაწირავენ, პატრიოტთა ალიანსის წევრს, ირმა ინაშვილს ლიკვიდაცია ემუქრება, 21 მარტს დაანონსებულ აქციაზე პროვოკაცია მოხდება, ნაციონალებმა რევოლუციის ახალი თარიღი დააანონსეს... ეს შეფასებები ყოფილი მმართველი გუნდის ირგვლივ კარგა ხანია გვესმის. რას პასუხობს საპარლამენტო ოპოზიცია ბრალდებებს და გადაიდება თუ არა 21 მარტის აქცია, პრეზიდენტის მიერ რიგგარეშე სხდომის 13 მარტს დანიშვნის გამო — „ვერსიას“ აკაკი ბობოხიძე ესაუბრება.

— ბატონო აკაკი, ირმა ინაშვილი აცხადებს, რომ 21-23 მარტის პერიოდში ახალაიას, მერაბიშვილს ან უგულავას ციხეში მათი თანაგუნდელები მოკლავენ. საიდან მოდის ეს ინფორმაცია?

— სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი უჯერებს მსგავს ჭორებს. მინდა, ირმა ინაშვილს ერთი კითხვა დავუსვა — თუ ეს ინფორმაცია სწორია, რატომ არ აქვს იგი სპეცსამსახურებს, საიდან აქვს ინაშვილს და ვინ და რატომ მუშაობს ქართულ სპეცსამსახურებზე უკეთ, თანაც ინაშვილის ინფორმაციით მოსამარაგებლად?!

— თქვენც უპასუხეთ, სიმართლეა ეს ინფორმაცია და ინაშვილის ლიკვიდაციის გეგმა?

— რა არის მართალი, რას მეუბნებით, რა სისულელეა! როგორ შეიძლება, ასეთი რამ მართალი იყოს?!

— როგორც პატრიოტთა ალიანსის წევრი ამბობს, სასჯელაღსრულების სამინისტრო უკვე გააფრთხილა, „ოცნების“ უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი სესიაშვილიც აცხადებს, რომ პროკურატურა ამ ინფორმაციას გადააამოწმებს. ამხელა ამბავი ჭორის გამო ატყდა?

— ირმა ინაშვილი რომ არ ჰყავდეს ამ ხელისუფლებას, ნეტა, რა ეშველებოდა? ინაშვილებსა და იმ ხალხზეა დაფუძნებული მთელი სახელისუფლო გუნდი, ვინც ინაშვილს უჯერებს.

— მაშინ რაზეა გათვლილი ეს განცხადებები, როგორ ფიქრობთ?

— იმაზე, რაზეც, თავის დროზე, ჭიკაიძის განცხადება იყო გათვლილი, რომ თურმე, ნაციონალები საბურავებს აგროვებენ. ეს მარაგიც ინაშვილს აღმოუჩენია, დაუთვლია და გადაურჩენია ახალგაზრდები. ლევან იზორიაც არ დაგვავიწყდეს, რომელიც ამბობდა, რომ ქვეყნის გადატრიალების მუხლით ჩვენზე საქმე იყო აღძრული... ეს ყველაფერი უწიგნურ, გაუნათლებელ და ლოგიკის არმქონე ადამიანებზეა გათვლილი, რომლებიც მზად არიან, თუნდაც ეს ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ ნაციონალებმა არ გაიმარჯვონ. 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს, ოპოზიციიდან ბევრს გული დაწყდა, მათ შორის, ახლანდელ დეპუტატებსაც, რომ პუტინი თბილისში არ შემოვიდა და სააკაშვილს არ გადაუარა.

— ვის დაწყდა გული, დაასახელეთ?

— „ოცნების“ კოალიციაში შემავალ, პრაქტიკულად, ყველა ოპოზიციურ პარტიას! „ოცნებას“ ვერ ატყობთ, რადგან შესაძლოა, უკრაინის წარმატება, რაღაც თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილსაც მიეწეროს, ამის გამო უკრაინის დამარცხება გაუხარდებათ. ოღონდ იმას აღარ ფიქრობენ, უკრაინის დამარცხება საქართველოს წინ მწარედ დახვდება. სახელმწიფო თვალსა და ხელსშუა გვენგრევა, „ოცნების“ მიმართ თავის მხარდაჭერას კი ხალხი ერთადერთ მიზეზს უძებნის — აბა, სააკაშვილს ხომ არ დავაბრუნებთო! რა გამოდის, დაქცეულა ეს ქვეყანა, ოღონდ ნაციონალური მოძრაობა ფეხზე ნუ წამოდგებაო. ინაშვილი კი „ქართული ოცნების“ მთავარი მომხრეა, მეტიც, იგი „ოცნებისგან“ უფრო მკვეთრ მოქმედებებს ითხოვს.

— იგი აპრილში იმ 70 ნაციონალი მაღალჩინოსნის გვარის გასაჯაროებას აპირებს, ვინც სხვადასხვა სტრუქტურაში მუშაობს და ხელისუფლებას მათი გაშვება უნდა მოსთხოვოს.

— არ მაინტერესებს, რას იზამს ინაშვილი! ვისაც მისი სჯერა, მიპასუხოს: საიდან ფლობს იგი ინფორმაციებს, რომელიც უშიშროებასაც არ აქვს? ჩემი აზრით, ინაშვილი არც არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და მთელი მისი მოღვაწეობა ჭორზეა დაფუძნებული, რაც, სამწუხაროდ, ნაციონალებს ადვილად გვეწებება! ხომ დაიჯერა ხალხმა, რომ სააკაშვილი ორგიებს მართავდა, ქალებს ძუძუებს აჭამდა და საკუთარ თანამებრძოლებს ფეხებს ამტვრევდა. ხალხს ეს დღემდე სჯერა და ისიც, მილიონები და მილიარდები იშოვესო, მაგრამ იმას აღარ უკვირდებიან, სახელმწიფო ქონების მითვისების არცერთი ბრალი რომ არ დაგვმტკიცებია.

— მერე, ეს თქვენს უდანაშაულობას ამტკიცებს თუ „ოცნების“ არაპროფესიონალიზმს?

— ეს რას ნიშნავს — იმის თქმა გინდათ, რომ მილიარდებს ვიპარავდით და მილიარდიანი ბიუჯეტიც გვქონდა? მარტივი არითმეტიკაა — ვთქვათ, ვიპარავდით რაღაც თანხას, მაშინ დღეს იგივე ბიუჯეტი კი არა, იგივეს დამატებული ჩვენს მიერ მოპარული მილიარდები უნდა იყოს. ჰოდა, დღეს ხომ აღარ ვართ ხელისუფლებაში და რატომ არ არის ორჯერ მეტი ბიუჯეტი?

— ორ არგუმენტს გეტყვით: ხალხის ნაწილისა — რომ „ოცნებაც“ იპარავს და „ოცნებისას“ — რომ ისინი ბიზნესმენებს თქვენსავით არ არეკეტებენ.

— პრინციპში, არ ვიცი, რას იპარავს „ოცნება“, მაგრამ, ბოდიშს ვიხდი, ბიუჯეტი „ატკატებით“ არ ივსება. რაც შეეხება საარჩევნოდ მოტანილ თანხებს, ჯერ ჩვენს შემოწირულობებს გადახედეთ, მერე „ოცნებისას“. ამ ქვეყანაში ბიზნესი ისევ ხელისუფლების მხარდამჭერია, ხალხი და ეკონომიკა კი დეპრესიაშია.

— ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზიდენტმა თქვენსა და ალასანიას გუნდის შეთავაზებას, რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ, დადებითად უპასუხა; ასევე ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს კომიტეტშიც მოუსმენენ — ანუ 21 მარტის აქცია გადაიდო?

— ახლა გამოჩნდება „ოცნების“ დამოკიდებულება პრეზიდენტის მიმართ — დარწმუნებული ვარ, რიგგარეშე სხდომაზე ისევ არ მოვლენ. 21 მარტის აქცია არც ერთ შემთხვევაში არ გადაიდება. „ოცნების“ მთავარი პრობლემაა, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. ივანიშვილს კი ყოველდღე რომ ნდომებოდა თავისშეწუხება, პრემიერის პოსტს არ დატოვებდა. დღეს იგი პრობლემების მოსასმენად ღარიბაშვილს მხოლოდ თვეში ერთხელ ხვდება.

— ივანიშვილ-ღარიბაშვილის შეხვედრების გრაფიკი საიდან იცით?

— ხელისუფლებას ეტყობა — გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის იწელება, ან საერთოდ ვერაფერს წყვეტენ. ამ ტიპის მმართველობა ქვეყანას წინ ვერ წაიყვანს, ამიტომ ეს ხელისუფლება უნდა გადადგეს, პარლამენტმა კი, ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად, ახალი პრემიერის კანდიდატურა უნდა აირჩიოს და ახალი მთავრობა დანიშნოს.

— 21 მარტის აქციის მიზანი ღარიბაშვილისა და მთავრობის გადადგომაა, ოღონდ ვადამდელი არჩევნების გარეშე. ამას როგორ აპირებთ, ეჭვი გაქვთ, პარლამენტი მთავრობას გადააყენებს და მერე ახალს დანიშნავს?

— დიახ, სწორედ მთავრობის გადადგომას ვითხოვთ, მაგრამ თუ პარლამენტი თავის თავზე ვერ აიღებს ახალი, კერძო პირებისგან დამოუკიდებელი მთავრობისა და პრემიერის დანიშვნას, მაშინ, ბუნებრივია, ასეთი უმრავლესობაც უნდა გადაგდეს, პარლამენტის დათხოვნის უფლება კი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს. ამის მერე, ალბათ, რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა მართლაც მოგვიწევს, რადგან არ ვფიქრობ, პარლამენტი ამას გააკეთებს... თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროცედურები უნდა გამოვტოვოთ. ჩვენ ჯერ პარლამენტს ვთავაზობთ საკუთარი უფლებამოსილების გამოყენებას. თუ არა, პირადად, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მომხრე ვიქნები. პრეზიდენტს უფლება არ აქვს, ეს თავისი ჭკუით გააკეთოს, ამისთვის გარკვეული პირობებია საჭირო; გარდა ამისა, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას შეიძლება პირდაპირ ქართველმა ხალხმა მიაღწიოს. საჭიროა მოთხოვნა და ლეგიტიმური მოქმედებები — მიტინგები, პიკეტები და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტივობები.

— მოკლედ, წინასწარ იცით, რომ მთავრობა არ გადადგება და ტყუილად არც ხალხი გიხსენებიათ — რა იქნება 21 მარტის მერე, მოვლენათა განვითარების ყველა სავარაუდო სცენარზე იღებთ პასუხისმგებლობას?

— ჯერ ერთი, ვნახოთ, რამდენი ადამიანი იქნება 21 მარტს და აცნობიერებს თუ არა მოსახლეობა, რომ მთავრობა შესაცვლელია. რაც შეეხება მოვლენათა განვითარებას, პასუხისმგებლობას იმ პროცესებზე ვიღებთ, რასაც თავად ვმართავთ.

— ეჭვი გაქვთ, აქციაზე მართვის სადავე ხელიდან გაგექცევათ?

— არა, არა! აქციაზე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ხელმძღვანელობს, პასუხისმგებლობას ავიღებთ. თუ აქცია კონტროლიდან გამოვა, პროცესებზე პასუხისმგებელი ხელისუფლება და ის პირი იქნება, ვინც ამ არეულ პროცესს უხელმძღვანელებს. თუ ვინმე აგრესიულ მოწოდებებს გააკეთებს, რასაც ჩვენ არ ვგეგმავთ, ხელისუფლებამ, კეთილი უნდა ინებოს და, მას ადგილი მიუჩინოს. „ოცნებას“ პასუხს იმაზე კი არ მოვთხოვთ, მოძალადეები რატომ დასაჯა, არამედ იმაზე, აგრესიული მოწოდებების ავტორები თუ არ დაისჯებიან და ვითარება კონტროლიდან გამოვა.

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ექსკლუზიური ინტერვიუ ჩინეთის ელჩთან

ბინ იუე: „აბრეშუმის გზა განვითარების, თანამშრომლობისა და მეგობრობის გზა უნდა იყოს“

ორიოდე კვირის წინ, ჩინეთმა ახალი წელი აღნიშნა. იმაზე, როგორ იზეიმეს საქართველოში მცხოვრებმა ჩინელებმა ეს დღე და ზოგადად, როგორია ქართულ-ჩინური ურთიერთობა, „ვერსიას“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ბინ იუე ესაუბრება.

— 2014 ჩინურ-ქართული ურთიერთობების სწრაფად განვითარების წელი იყო. ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირები თვალსაჩინოდ გაძლიერდა. საქართველოს ვიცე-პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილისა და ვიცე-სპიკერის, ზვიად ძიძიგურის ხელმძღვანელობით, ორი დელეგაცია სტუმრობდა ჩინეთს. პირველი თიენძინში, დავოსის ფორუმში მონაწილეობდა, მეორე კი — ჩინეთ-ევრაზიის მე-4 ექსპოში. ისინი ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. კიდევ ბევრი მაღალი დონის დელეგაციის გაცვლა მოხდა. წარმატებით ჩატარდა პირველი პოლიტიკური კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების დონეზე და ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური კომისიის მე-6 სხდომა. ორმხრივი საქმიანი თანამშრომლობის შედეგები აშკარაა — ჩინეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 823 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთი საქართველოს რიგით მეოთხე სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, ხოლო წლიური მონაცემებით — რიგით პირველი ინვესტორი. ჩინური კომპანიები შეუფერხებლად ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს, მათ შორის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური სოფლის მშენებლობის, 60 მაგისტრალის გაუმჯობესების... ჩინეთმა კიდევ ერთხელ გადასცა საქართველოს 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი. გრანტების მოცულობამ, 55 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საბაჟო სკანირების დანადგარების შესყიდვას, სათბურების მშენებლობას... მოხმარდა. თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის სფეროშიც არნახულად ვითარდება. შეუფერხებლად ფუნქციონირებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუციის ინსტიტუტი. 16 ჩინელი მოხალისე მასწავლებელი საქართველოს ოცამდე სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ასწავლის ჩინურ ენას. უკვე 600-ზე მეტი ქართველი სტუდენტი ეუფლება ჩინურს, რაც წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტია. ხელი მოეწერა განათლების სფეროში ახალ შეთანხმებას, რითაც გაიზარდა სამთავრობო სტიპენდიების რაოდენობა. არა ერთი ანსამბლი სტუმრობდა როგორც ჩინეთს, ისე საქართველოს. მათ მაყურებელს თავიანთი ქვეყნის კულტურა წარუდგინეს. ორმა ქართულმა ფილმმა: „გაღმა ნაპირი“ და „ვაზში დაკარგულები“, აბრეშუმის გზის პირველ საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზები მოიპოვა.

— როგორც ვიცი, სამომავლოდაც არაერთი მნიშვნელოვანი ვიზიტია დაგეგმილი.

— დიახ. არც ისე დიდი ხნის წინ, ჩინეთის სახელმწიფო მდივანი იან ძიეჩი, მიუნხენის 51-ე უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა და ოფიციალურად მიიწვია სექტემბერში დალიენში დაგეგმილ დავოსის ფორუმზე. წლის განმავლობაში, საქართველოს ორივე ვიცე-პრემიერი ასევე ეწვევა ჩინეთს. დარწმუნებული ვარ, ეს მაღალი დონის ვიზიტები ხელს შეუწყობს 2015 წელს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების ახალი ძალით განვითარებას.

— საქართველოს მიერ წამოყენებული სტრატეგია „აბრეშუმის გზის აღდგენის“ თაობაზე ჩინეთთანაა კავშირში. რას ფიქრობთ ამ სტრატეგიაზე და რა ნაბიჯები გადადგა ჩინეთმა ამ მიმართულებით?

— უძველესმა აბრეშუმის გზამ, ჩინეთი და საქართველო, მჭიდროდ, ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ დააკავშირა. ბოლო წლებში, ჩინეთმა სტრატეგიული კონცეფცია წამოაყენა „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ შექმნის, საქართველომ კი — „აბრეშუმის გზის აღდგენის“ შესახებ. ამ კონცეფციებს ბევრი საერთო აქვთ.

აბრეშუმის გზა, განვითარების გზა უნდა იყოს. კონცეფცია მიზნად ისახავს სარტყლის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს (მათ შორისაა საქართველოც) შორის კომუნიკაციის, საგზაო კავშირების, ვაჭრობის, ვალუტის მიმოსვლისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას, რომ ეს ქვეყნები ერთად განვითარდნენ და ერთად მიაღწიონ კეთილდღეობას. ევრაზიის გასაყარზე მდებარე საქართველო „ეკონომიკური სარტყლის“ მნიშვნელოვანი ნაწილია. „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ შექმნის იდეა ახალ შესაძლებლობას აძლევს თქვენს მთავრობას, აქციოს ქვეყანა ევრაზიის დამაკავშირებელ სავაჭრო და ლოჯისტიკურ სატრანზიტო ქსელად. ახლო მომავალში, საქართველოს ვიცე-პრემიერი კვირიკაშვილი, ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, ხელს მოაწერს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ მშენებლობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებულ ორმხრივ დოკუმენტს. ამავდროულად, ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს ინიციატივას მიმდინარე წლის ოქტომბერში „აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმის“ გამართვის თაობაზე. ფორუმში ჩინური დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას.

აბრეშუმის გზა თანამშრომლობის გზაც უნდა იყოს. ჩინეთ-საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა სწრაფად ვითარდება, მაგრამ კიდევ დიდი სივრცეა აუთვისებელი. ავტომაგისტრალების, რკინიგზის, პორტების, ელექტროენერგიის, კომუნიკაციების, წარმოებისა და სხვა სფეროებში ჩინეთს მდიდარი გამოცდილება აქვს. ინდუსტრიის კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ 22 ყველაზე მსხვილი ინდუსტრიიდან 7-ში ჩინეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ფოლადის, ცემენტის, სამშენებლო მასალების, ავტომობილების, ქსოვილების... 220-ზე მეტი სახეობის პროდუქციის წარმოებაში წამყვან ადგილზეა. „მეიდ ინ ჩაინა“ — მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ჩინეთის ეკონომიკის გაძლიერების კვალდაკვალ, ჩინურმა კომპანიებმა საზღვარგარეთ ინვესტიციების განხორციელება დაიწყეს. საქართველოს უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობა, ხელსაყრელი საინვესტიციო პირობები, ევროკავშირთან და მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, საქართველოს მთავრობის მისწრაფება განავითაროს ინფრასტრუქტურა, წარმოება და შემოიტანოს მეტი უცხოური ინვესტიცია, ყოველივე ეს ბევრ ჩინურ კომპანიას იზიდავს. შარშან, სწორედ ჩინეთიდან შემოსული ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიციები ამის ნათელი დასტურია. დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო მეტი ჩინური კომპანია შემოვა საქართველოში და მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობაში; და მესამე — აბრეშუმის გზა მეგობრობის გზაც უნდა იყოს. უძველესმა აბრეშუმის გზამ აშკარად დიდი წვლილი შეიტანა ჩინეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების გაძლიერებასა და სხვადასხვა კულტურების გავრცელებაში. ჩვენი კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სარტყლის გასწვრივ მცხოვრები ხალხების დამეგობრება. ჩინეთმა და საქართველომ უკვე განსაზღვრეს მიმდინარე წლის განმავლობაში კულტურულ გაცვლასთან დაკავშირებული წინასწარი გეგმა.

— როგორია ეს გეგმა, რა კულტურულ ღონისძიებებს უნდა ველოდეთ?

— ქართული მხარე ემზადება 2015 წლის პეკინის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე ანსამბლის გასაგზავნად. თბილისის სამხატვრო აკადემიაც აქტიურად უწევს ორგანიზებას ქართველი მხატვრების 2015 წლის პეკინის საერთაშორისო ბიენალეზე მონაწილეობას. ჩინეთიდანაც აპირებენ ხელოვანთა ჯგუფები საქართველოში წარმოდგენების გამართვას. ახალი ეტაპი დაიწყო განათლების სფეროში თანამშრომლობის მხრივ. ჩინელ და ქართველ ახალგაზრდებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

— დღეს, ჩინეთ-საქართველოს შორის რამდენი სტუდენტის გაცვლა ხდება? ჩინური მხარე რა მიმართულებით აფინანსებს ქართველ სტუდენტებს, რა აუცილებელ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი და შეუძლიათ თუ არა ინგლისური ენის მცოდნეებს, მოითხოვონ სტიპენდია?

— შარშან, 9 ჩინელი სტუდენტი იყო საქართველოში. ისინი, უმეტესწილად, ბიზნესის ადმინისტრირებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, ქართულ და რუსულ ენებს და სხვა სპეციალობებს სწავლობდნენ. მათი უმრავლესობა ჩინური კომპანიების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები არიან. „ხუალინგმა“, „ჩინეთის რკინიგზამ“ და სხვა ჩინურმა კომპანიებმა უკვე ჩამოაყალიბეს მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სისტემა ადამიანური რესურსების მომზადებისათვის. ისინი ახალისებენ თანამშრომლებს, რათა შეისწავლონ ადგილობრივი ენა. შარშან, სულ 12 ქართველი სტუდენტი გაემგზავრა ჩინეთის მთავრობის დაფინანსებით ჩინეთში სასწავლებლად. ისინი 11 სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობდნენ ჩინურ ენას, საერთაშორისო ურთიერთობებს, ბიზნესის ადმინისტრირებას, სამართალს, ბუღალტერიას... ხელი მოეწერა ახალ შეთანხმებას განათლების სფეროში, რითაც სამთავრობო სტიპენდიების რაოდენობა გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მეტ ქართველ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გაემგზავროს ჩინეთში სასწავლებლად.

ჩინეთის საელჩო საქართველოში ყოველწლიურად ატარებს ჩინეთის მთავრობის სტიპენდიანტების შესარჩევ გამოცდას, რომლებსაც ის უნივერსიტეტები უწევენ რეკომენდაციას, სადაც ჩინური ენა ისწავლება. წლევანდელი სტუდენტების შერჩევა უკვე დაიწყო. იმედია, ის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს, აქტიურად დარეგისტრირდებიან. მონაწილეობა მათაც შეუძლიათ, ვინც ჩინურ ენას არ ფლობს, თუმცა უპირატესობა ჩინური ენის მცოდნეებს ენიჭებათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ბევრ ინსტიტუტში ლექციებს ინგლისურ ენაზე კითხულობენ, ჩინური ენის საფუძვლების ცოდნა უადვილებს სტუდენტებს ჩინეთში ცხოვრებას. ჩინელებს გვაქვს ერთი ძველი ანდაზა: „ქვეყნებს შორის ურთიერთობები მათი ხალხების ერთმანეთისადმი კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული“. მართლაც, ხალხებს შორის ურთიერთგაგება და მეგობრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საფუძველია. ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალი და ერის იმედია. სასწავლებლად წასვლის შესაძლებლობა, სტუდენტების გულებში ჩინეთ-საქართველოს მეგობრობის ნერგს გამოიღებს. მჯერა, მომავალში, ეს ნერგი დიდ ხედ აღმოცენდება, რომელიც უკეთეს მომავალს შექმნის ჩინეთ-საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის.

— ჩინეთში ახლახან იზეიმეთ ახალი წელი. დღესასწაულს საქართველოში როგორ აღნიშნავთ?

— გაზაფხულის დღესასწაულს დიდი ხნის ისტორია აქვს. მის შესახებ მონაცემებს ჯერ კიდევ 4000 წლის წინ ვხვდებით. იგი ჩინელი ხალხისთვის ყველაზე დიდი ტრადიციული დღესასწაულია და ჩინური მთვარის კალენდრის მიხედვით ახალი წლის დადგომას ნიშნავს. თარიღი ცვალებადია და 21 იანვრიდან 21 თებერვლის შუალედში ემთხვევა. ეს ოჯახის ერთიანობისა და წინაპრების პატივისცემის დღესასწაულია. ყოველ წელს ჩინელების უმრავლესობა ამ დღის აღსანიშნავად სახლში ბრუნდება. ოჯახის წევრები იკრიბებიან, ახვევენ პელმენს, მიირთმევენ წინასაახალწლო ვახშამს, აფეთქებენ ტკაცუნებს, უშვებენ ფიოერვერკებს, პატივს მიაგებენ ბუნებას, ქედს იხრიან უფროსების წინაშე... ეს სახალხო ზეიმია. კარზე აკრავენ „ჩუნლიენს“ (ჩინური საახალწლო დეკორაცია — გრაგნილი, რომელზეც საახალწლო სურვილები წერია), ასრულებენ ლომისა და დრაკონის ცეკვას, სეირნობენ საზეიმო ღონისძიებებზე, ტკბებიან ფერადი ფარნებით... მთავარი აზრია ძველის გაცილება და ახლის შეგებება, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის სურვება, ერთობა, მშვიდობა და კეთილდღეობა, ოჯახური ჰარმონია, მხიარული და სადღესასწაულო გარემო. ბოლო წლებში, ცხოვრების დონის გაუმჯობესების და 7-დღიანი დასვენების შემოღების შედეგად, ბევრი ჩინელი ახალ წელს სამოგზაუროდ მიდის. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ტურისტების რაოდენობა რამდენიმე ათეულ მილიონს აღწევს. ჩინეთის გარდა, გაზაფხულის დღესასწაული ასევე აღინიშნება სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებშიც. ამ დღეს, გაეროს გენერალური მდივანი, აშშ-ს, ევროპის, აზიის და ავსტრალიის ქვეყნების ლიდერები ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით მთელ მსოფლიოში ულოცავენ ჩინელ ხალხს ახალ წელს. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გაზაფხულის დღესასწაული უკვე ჩინური კულტურის გავრცელების და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებთან მეგობრობის გაღრმავების საშუალებაა.

საქართველოში მცხოვრები ჩინელები ყოველ წელს სხვადასხვანაირად აღნიშნავენ ამ დღეს. წელს, ჩინეთის საელჩომ ოფიციალური მიღება და სხვა ღონისძიებები გამართა აქ მცხოვრები ჩინელებისთვის. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუციის ინსტიტუტში ჩატარდა საახალწლო საღამო. იმედი მაქვს, მომავალში მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, უფრო მეტი ქართველი მიიღებს მონაწილეობას ჩინურ ახალ წელთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში და ჩინელ ხალხთან ერთად გაიზიარებს სადღესასწაულო მხიარულებასა და სიხარულს.

ვერსიანიუსი

თბილისში საქართველო-უკრაინა-მოლდოვას სამმხრივი შეხვედრა გაიმართება

10-11 მარტს ქართული მხარის ინიციატივით თბილისში ევროკავშირთან ასოცირებული სამი პარტნიორი ქვეყნის — საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების სამმხრივი შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრის მიზანი ასოცირების დღის წესრიგში არსებული აქტუალური საკითხების განხილვაა.

შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ მოლოდინს, რომელიც უკავშირდება მიმდინარე წლის მაისში რიგაში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტს და ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის კუთხით ასოცირებული პარტნიორების მიერ საერთო პოზიციების შეჯერებას.

სამმხრივი შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ვიზიტით ეწვევიან უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ოლენა ზერკალი და მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, იულიან გროზა, რომლებსაც თბილისში მათი ქართველი კოლეგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე უმასპინძლებს.

დაგეგმილი ვიზიტის დროს ასევე გათვალისწინებულია უკრაინასა და მოლდოვასთან პოლიტიკური კონსულტაციების გამართვა, რომლებიც ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს მოიცავს და აქტუალური საკითხების განხილვის საუკეთესო საშუალებაა.

ვიზიტის ფარგლებში უკრაინელი და მოლდოველი სტუმრები ასევე საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს გაეცნობიან.

„პირველი“

ემზარ ჯგერენაია: „ეს მესამე მსოფლიო ომია, მსოფლიო სავალუტო ომი და ამ გამოწვევისთვის საქართველო მზად არ აღმოჩნდა“

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა („საქსტატი“), ფასების მატებასა და ინფლაციაზე თებერვლის ოფიციალური მონაცემები გამოაქვეყნა. მიმდინარე წლის იანვართან შედარებით, თებერვალში ჯანდაცვის მიმართულებით ფასები 0.9%-ით გაიზარდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობების ქვეჯგუფი 2.4%-ით გაძვირდა. ფასები გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე — 0.7%-ით და საავადმყოფოების მომსახურებაზე — 0.3%-ით; სურსათი და უალკოჰოლო სასმელი — 0.1%-ით; ალკოჰოლური სასმელი და თამბაქო – 1.0%-ით; საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი – 0.4%-ით; ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა – 0.5%-ით; ჯანმრთელობის დაცვა – 0.9%-ით, დასვენება, გართობა და კულტურა – 0.7%-ით; განათლება – 0.5%-ით; სასტუმროები, კაფეები და რესტორნები — 0.7%-ით; სხვადასხვა საქონელი და მომსახურება – 1.5%-ით გაძვირდა. ამავე პერიოდში, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი 1.2%-ით, ტრანსპორტი 2.4%-ით, ხოლო კავშირგაბმულობა 0.1%-ით გაიაფდა. უკავშირდება თუ არა ცალკეული პროდუქციისა თუ მომსახურების გაძვირება ლარის დევალვაციას? რატომ უნდა შექმნას მთავრობამ ანტიკრიზისული საბჭო? რა გამოწვევებს უნდა უპასუხოს ხელისუფლებამ და რას ნიშნავს მსოფლიო სავალუტო ომი? „ვერსიას“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია ესაუბრება.

რას ნიშნავს „იაფი ფული“ და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ კრიზისის დასაძლევად?

— ბატონო ემზარ, რას ნიშნავს „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემები?

— 2012-დან 2014 წლამდე, საქართველო დეფლაციის ზონაში იყო. იმის გამო, რომ შარშანდელი თარგეთი (2009 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი ინფლაციის თარგეთირებაა. ამ რეჟიმის დროს, წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც საშუალოვადიან პერიოდში უნდა შენარჩუნდეს. 2015-2016 წლებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5%-ია, 2017 წელს კი 4%, — ავტ.) ვერ შევასრულეთ, სახელმწიფო ბიუჯეტმა 600 მილიონი ლარი დაკარგა. მთელი წლის განმავლობაში მოვახერხეთ და დეფლაციის უარყოფითი ზონიდან ინფლაციის ზონაში გადმოვედით. შესაბამისად, 2015 წლის იანვარ-თებერვალში, 1.2%-დან 2.4%-მდე ინფლაცია გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ლარის გაცვლითი კურსი სერიოზული პრობლემის ქვეშაა, პროგნოზი ასეთია — წლის ბოლომდე ინფლაციის თარგეთის ნიშნულს, ანუ 5%-ს ვერ მივაღწევთ. დეფლაციური ზონიდან ინფლაციურ ზონაში გადავედით, რაც დადებითი მომენტია, თუმცა ჩვეულებრივი ადამიანებისთვის რთული მოსასმენია, რატომაა ინფლაცია ანუ ვალუტის გაუფასურება დადებითი, მაგრამ ეკონომიკის ზრდისთვის კარგია. როდესაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ეცემა, საშუალოვადიან პერიოდში, კურსის ვარდნა ფასებზეც აისახება და ინფლაციური პროცესი იწყება. ამიტომ ამ ეტაპზე, ფასების ზრდის თვალსაზრისით, საგანგაშო არაფერი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროდუქცია და მათ შორის მედიკამენტებიც გაძვირდა. ამ პერიოდის თავისებურება ის იყო, რომ მთელ მსოფლიოში დოლარი მყარდებოდა, მსოფლიო სასაქონლო ბირჟის ძირითადი საქონელი — ხორბალი, სოიო, შაქარი დოლარში კოტირდება, ამიტომ საქართველოში დიდი ინფლაციური ზეწოლა არ ყოფილა.

— სამწუხაროდ, მოსახლეობა სულ სხვა რეალობის წინაშე დგას, რადგან ბაზარსა და ცალკეულ მარკეტებში, რძე და რძის პროდუქტი გაძვირდა, თან მუდმივად გვესმის, რომ ჟურნალისტებიცა და ექსპერტებიც მხოლოდ „საქსტატის“ ოფიციალურ მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ, რომლის მიხედვითაც ვითარება საგანგაშო არ არის... რა ხდება?

— არა, რომელი სტატისტიკაც მინდა, იმას გამოვიყენებ. ჩვენ იმიტომაც ვართ ექსპერტები, ვითარება გავაანალიზოთ და თუ საჭიროა, მთავრობა გავაკრიტიკოთ კიდეც. რაც შეეხება ცალკეულ პროდუქტს, მაგალითად, ბანანი გაძვირდა, ბიზნესი ფასებს მოლოდინის გამო ზრდის, იმავდროულად კი, ბაზარს ამცირებს. ბიზნესს ფასების ზრდა არ აწყობს, უკიდურეს შემთხვევაში, უმატებს, თუმცა მეორე მხრივ, არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ხელის მოთბობის მიზნით, სპეკულაციურ ფასებს გვთავაზობენ და ხელოვნურ აჟიოტაჟს ქმნიან, მესამე ნაწილი კი მოლოდინის აჟიოტაჟს ქმნის. დიახ, ფასები მომატებულია, მაგრამ, როდესაც ინფლაციაზე ვსაუბრობთ, კარგად უნდა გავერკვეთ, რომელ ინფლაციას ვგულისხმობთ. თუ ვსაუბრობთ ინფლაციაზე ნავთობპროდუქტების გარეშე, სხვა ვითარებაა, რადგან ნავთობის ფასები დაეცა, თუ ვგულისხმობთ ინფლაციას სამომხმარებლო კალათის გარეშე, მაშინ სულ სხვა სურათია, ხოლო თუ, ზოგადად, ინფლაციაზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში, მაჩვენებელი არ იცვლება. თქვენ ხედავთ, რომ ბანანი გაძვირდა და გსურთ, ეს პროცესი უცებ აისახოს ინფლაციაზე, მაგრამ ასე არ ხდება. რამდენიმე წლის წინ, კარტოფილმა შეარყია ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ ინფლაცია გამოითვლება სამომხმარებლო კალათის 352 დასახელების პროდუქტის მიხედვით და ამიტომაც ვამბობ, რომ ცალკეული პროდუქტების გაძვირების მიუხედავად, ამ პერიოდში, ინფლაციის ეს მაჩვენებელი საგანგაშო არ არის.

— ნოემბრიდან დღემდე, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, აშშ დოლართან მიმართებაში, დაახლოებით, 30%-ით გაუფასურდა, პროდუქტი ამის გამო გაძვირდა?

— გირჩევთ, ამ საკითხზე საუბრისას, ცოტა ხნით საქართველოს თავი დავანებოთ და განვიხილოთ, რა ხდება ევროპაში. 2011 წლიდან, ევროპაშიც კი 30%-იანი ინფლაციაა, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. სახეზეა დეფლაციური პროცესი, რის გამოც ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, მარიო დრაგმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა მათ მიერ მწვავედ გაკრიტიკებული, ამერიკელი ბენ ბენაკისეული ფორმულა მიიღონ და ეკონომიკის მხარდაჭერის პოლიტიკა, ანუ შერბილებული მიდგომა განახორციელონ. მარტივად რომ აგიხსნათ, ეს დიდი ოდენობით ობლიგაციების ყიდვის გზით, მიმოქცევაში უზარმაზარი რაოდენობის „ქეშის“, ნაღდი ფულის გაშვებას ნიშნავს, ანუ ბაზარს დიდი ოდენობით იაფი ფული მიეწოდება (თავის მხრივ, „იაფი ფული“ სულაც არ არის სახუმარო თემა, ესაა გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტები, — ავტ.). იმის გამო, რომ ევროპა დეფლაციაშია, 2016 წლამდე, მარიო დრაგი ბაზარს, ბიზნესს იაფ ფულს მიაწვდის, რათა ევროპის ეკონომიკა ააღორძინოს. ბენ ბენაკიმ ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო აშშ-ში და იაფი ფულის მოწოდების პროცესი დაამთავრა კიდეც, მან უამრავი ოდენობის იაფი ფული ჩატუმბა ამერიკის ეკონომიკაში და კარგი შედეგიც მიიღო. მართალია, აშშ დოლართან მიმართებაში, ევრო 30%-ით გაუფასურდა და სერიოზული ვარდნა განიცადა, მაგრამ არავის მოუსმენია წუწუნი, რა ცუდ მდგომარეობაშია ევროპა. პირიქით, ევროპელები გახარებულები არიან, რომ, ბოლოს და ბოლოს, ევრო გაიაფდა. დრაგის ახალ პოლიტიკასთან ერთად, ევროპელი ექსპორტიორების წარმოება გაიზრდება და იმასაც ელოდებიან, რომ ამ პოლიტიკით ევროპის ეკონომიკა რეცესიიდან, ანუ დეფლაციური სიტუაციიდან გამოვა. ევროპის მოქალაქეებს კრედიტებიცა და შემოსავლებიც ევროში აქვთ, ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ კრედიტები დოლარში გვაქვს, შემოსავლები — ლარში. ქვეყანაში დოლარიზაციაა და, რაც მთავარია, საქართველოს მომხმარებელი, იმპორტზე დამოკიდებულია. ექსპორტის განსაკუთრებული სტრუქტურა გვაქვს, მთავარი საექსპორტო პროდუქტი თხილია, რომელზეც იაფი ლარი არ მოქმედებს, ექსპორტის ერთ-ერთი კატეგორიაა აზოტი, რომლის მთავარი პროდუქტი გაზია. ფაქტობრივად, გაზის იმპორტს ვახორციელებთ, რომელიც აზოტის წარმოებისთვის გვჭირდება და იაფი ლარი არც მათ ახარებს. ამიტომ ჩვენ ისეთი სტრუქტურა არ გვაქვს საექსპორტო კალათში, რომ, როგორც კი ლარი გაუფასურდება, ეს პროცესი მაშინვე აისახოს საექსპორტო კალათზე, ანუ ექსპორტი და მთლიანი შიდა პროდუქტი გაზარდოს.

ზოგადად, მაღალი დონის დეფლაცია ისეთივე მავნეა, როგორც ინფლაცია და ეს ქვეყნის ეკონომიკის გაჩერებას ნიშნავს. ჩვენ თარგეთი და ინფლაციაც საკმაოდ ნორმალური გვინდა, რადგან ყველა მეზობელ ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა.

ვალუტის დასასტაბილურებლად, ოთხი ძირითადი წყარო არსებობს: ექსპორტი, ტრანსფერები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კრედიტები. კრედიტებს არ უნდა ველოდოთ, რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) ძალიან გაგვიბრაზდა, სსფ-ს მისიის ხელმძღვანელმა კულტურულად და ზრდილობიანად გვითხრა, რომ სტრუქტურული რეფორმები უნდა განვახორციელოთ, რასაც მინიმუმ, ორი წელი და 2 მილიარდი აშშ დოლარი სჭირდება. გარდა ამისა, საქართველოს ძირითადი საექსპორტო პარტნიორები რუსეთი და უკრაინაა, მათ შორის ომია, უკრაინა გაკოტრებულია, რეფინანსირების განაკვეთი რომ დაახლოებით 30% იქნება, ეს ფაქტობრივად, დეფოლტს ნიშნავს. პარალელურად, რუსეთიც რთულ მდგომარეობაშია, ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ქონება უნდა გავყიდოთ და ინვესტორებს კარგი პირობები შევთავაზოთ, თუმცა აქაც რთული სიტუაციაა. დასავლეთიდან ინვესტიციები არ მოდის, რადგან პოლიტიკურ გაუგებრობაში ვართ. ჩვენს თავზე „კავკასიური ცარცის წრე“ გრძელდება, რადგან დღემდე ვერ გაგვირკვევია, რუსეთთან ვართ თუ დასავლეთთან, პარალელურად, ჩინეთში ვეძებთ გამოსავალს. ერთადერთი გზა გვრჩება და ესაა პატარა ინვესტიციები დასავლეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან, ასევე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჩინეთიდან და აზიური ბაზრიდან, რომლებიც საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებენ.

— ლარის დევალვაცია და ეკონომიკური კრიზისის ნიშნები შიდაფაქტორებს, ანუ სუსტ მენეჯმენტს უკავშირდება? ვგულისხმობ მთავრობის სტრუქტურებს, გნებავთ, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის არაკოორდინირებულ მუშაობას.

— მოდი, ასე ვთქვათ, მთავრობა არ აღმოჩნდა მზად ამ გამოწვევებისთვის. რაც ჩვენი მეზობელი ქვეყნების — აზერბაიჯანის, ყაზახეთის, სომხეთის, რუსეთის, უზბეკეთის, უკრაინის ეკონომიკაში ხდება, ბუნებრივია, ჩვენთანაც გადმოინაცვლებდა და ეს პროცესი 2014 წლის შემოდგომაზე უკვე აშკარა იყო. ამიტომ შარშან, შემოდგომაზე, როდესაც რუსეთს სანქციები დაუწესეს და გაამკაცრეს პოლიტიკა, ამ გამოწვევებზე უნდა გვეფიქრა, რაც ნიშნავს, რომ შარშანვე უნდა შეგვექმნა ანტიკრიზისული კომიტეტი. ამ კომიტეტში ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელი, მათ შორის ეროვნული ბანკიც გაერთიანდებოდა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებდა. სწორედ ანტიკრიზისულ კომიტეტს უნდა ჩამოეთვალა ყველა ის გამოწვევა, სადაც სავარაუდოდ, პრობლემები გვექნებოდა.

დღეს მსოფლიო ომი მიმდინარეობს, ოღონდ ქვემეხების ნაცვლად, ბრძოლის ძირითადი იარაღი სავალუტო კურსია. თავდაცვის სამინისტროებისა და გენშტაბების ნაცვლად, ამ ომს ცენტრალური ბანკები ხელმძღვანელობენ, ეს სულ სხვა ტიპის ტოტალური ომია, რათა მსოფლიოს ცენტრალურმა ბანკებმა მათი ვალუტები გააიაფონ. ჩვენ იმას ვტირით, რატომ გაიაფდა ეროვნული ვალუტა, ისინი კი იმისთვის იბრძვიან, რათა საკუთარი ვალუტის გაიაფების უფლება მოიპოვონ. მსოფლიო სავალუტო ომი, მესამე მსოფლიო ომია და ამ გამოწვევისთვის საქართველო მზად არ აღმოჩნდა, რადგან ძალიან მარტივად ვუყურებთ ამ პროცესს.

ვამბობთ, რომ სამოქმედო გეგმა აუცილებელია, თუმცა ვიღაცები გვეუბნებიან, რომ გეგმა სოციალისტური გადმონაშთია, ლიბერალური ეკონომიკა გვინდაო, მაგრამ არც კი ვიცით, რა არის ეს ლიბერალური ეკონომიკა! ვიადვილებთ საქმეს და ვამბობთ, ყველაფერი თავისით დალაგდება, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მართვის ამდენი ინსტიტუტი საჭირო აღარ იქნებოდა. ძლიერი ქვეყნის ერთი მაგალითი მითხარით, სადაც მართვის გარეშე, ქვეყანა გამდიდრდა. ამიტომ თუ არ ჩამოთვლით ამ საფრთხეებს, რა გამოწვევებია მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში, თუ დღეს ამაზე არ იმუშავებთ, არაფერი გამოვა! ძალიან ვამარტივებთ ყველაფერს, რადგან მხოლოდ ხანძრის ჩაქრობა ეფექტურ მართვას არ ნიშნავს. აუცილებელია, 15 ან 10-პუნქტიანი გეგმა დავწეროთ და იქვე, ოპერატიულად მივიღოთ გადაწყვეტილებები, რათა უწყებებს შორის ჭიდილი არ იყოს. ცალ-ცალკე, თეორიულად, ეს უწყებები მართლები არიან, მაგრამ ხალხი დაიბნა. ამიტომაც ვამბობ, რომ ანტიკრიზისულ კომიტეტში უნდა გაერთიანდეს ეროვნული ბანკიც, ძალოვანი და ეკონომიკური ჯგუფის მინისტრები, რომლებიც ერთობლივ გადაწყვეტილებებს მიიღებენ! ახალი აქ არაფერია, ეს ჩვეულებრივი ნაბიჯია, რომელსაც ყველა ქვეყანა დგამს, როცა ასეთ რთულ მდგომარეობაში იმყოფება. კრიზისს საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს, არავის ეგონოს, რაც დღეს მიმდინარეობს, გნებავთ, კრიზისი დაარქვით, გნებავთ — შტორმი, „კატრინა“ თუ მიწისძვრა, ეს პროცესი 2015-2016 წლებშიც გაგრძელდება. ხალხო, ეს იანვარ-თებერვლის სუსხიანი სიო არ გეგონოთ, ეს მესამე მსოფლიო ომია, რომლის ნაპერწკლებიც ახლა სახეში გვენარცხება!

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

— ბატონო ემზარ, ანტიკრიზისული საბჭოს შექმნას ადრეც ითხოვდით, რაც შეეხება სსფ-ს რეკომენდაციას სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, თქვენგანაც მსმენია, რომ ეფექტური მართვისთვის, ცალკეული სამინისტროები უნდა გამსხვილდნენ, რათა ადმინისტრაციული ხარჯი დავზოგოთ. რადგან მსოფლიო სავალუტო ომის ძირითადი მონაწილეები ცენტრალური ბანკები არიან, სად არის ჩვენისთანა პატარა ქვეყნის ადგილი ამ ომში, რა უნდა გააკეთოს დოლარიზებული და იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა?

— „უოლ სტრიტ ჯორნალის“ საკმაოდ სერიოზული მიმომხილველი, ბრაიან ბლეკსტოუნი ამბობს, რომ, რაც დღეს მსოფლიოს ეკონომიკაში ხდება, ჩინეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კანადაში, აშშ-სა და ევროპაში, სავალუტო ომის ახალი ფაზაა. გგონიათ, ეს პროცესი ჩვენ არ გვეხება? საქართველომ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს. ადრეც ვამბობდი და დღესაც მგონია, მუშა კომიტეტი უნდა შეიქმნას, რომელიც ყველა მნიშვნელოვან გამოწვევას დააფიქსირებს. ამ გამოწვევებზე კი მთავრობამ სამოქმედო გეგმა უნდა შექმნას და ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციაში. სხვა შემთხვევაში, ჰკითხავთ ეროვნულ ბანკს, რატომ დროულად არ გაყიდა სავალუტო რეზერვები და გიპასუხებენ, რომ ეს იყო დაღმავალი ტრენდი, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად, 2011-დან 2015 წლამდე ჩამოყალიბდა. ჩარევას აზრი არ ჰქონდა, რადგან, შესაძლოა, რაღაც მომენტში (რომელიმე წელს, ამ პერიოდში), ამა თუ იმ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ჩარევით, დაღმასვლა შეჩერებულიყო კიდეც, მაგრამ მხოლოდ დროებით, რადგან ეროვნული ვალუტების გაუფასურება გრძელდებოდა და ამ ტრენდმაც დაღმასვლა განაგრძო. უფრო გასაგებად რომ აგიხსნით, თუ ეს დაღმასვლა „არითმიაა“, მაშინ ამ პროცესში ეროვნული ბანკის ჩარევა აუცილებელია, რათა სტაბილიზატორი ჩართოს და არითმია გაანეიტრალოს. თუმცა, თუ დაღმასვლა (ვალუტების გაუფასურება) „არითმია“ კი არა ჩამოყალიბებული „გულის მანკი“, ანუ ტრენდია, ჩარევას აზრი არ აქვს, რადგან აქ უკვე ოპერაციაა საჭირო. ერთი მხრივ ვამბობთ, რომ უფრო მეტი გადასახადი უნდა ამოვიღოთ, მაგრამ რეალურად, წლების მიხედვით, სტატისტიკური მონაცემები რომ ნახოთ, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ მხრივ უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე წინა წლებში. 2005 წელს, სამკურნალო საშუალებების იმპორტის დაბეგვრიდან, ბიუჯეტში 70 მილიონი ლარი შევიდა, დღეს ეს მაჩვენებელი 300 მილიონ ლარამდე ავიდა. მხოლოდ სამკურნალო საშუალებების მაგალითი მოგიყვანეთ, თორემ ყველა მიმართულებით ზრდა ფიქსირდება და ეს ოფიციალური მონაცემებია, ქართულმა ოცნებამ დღეს ყველაზე კარგი შედეგი დადო!

— უკაცრავად, მაგრამ ეს „კარგი შედეგი“ სად ჩანს?

— მარტივად აგიხსნით, მაგრამ ჯერ ლარის კურსის ცვლილების დინამიკა ვნახოთ. 1999 წლიდან დავიწყოთ, რადგან 1998-1999 წლების კრიზისის შედეგად, 1 აშშ დოლარი 2.45 ლარი ღირდა და ეს იყო ოფიციალური გაცვლითი კურსი. რამდენიმე წლის განმავლობაში, კურსი დაბლა ჩამოვიდა და წონასწორობის წერტილი 2.00 ლარი გახდა დოლართან მიმართებაში. ამის შემდეგ, ოფიციალური გაცვლითი კურსი 1.95 ლარზეც ჩამოვიდა და 2.15 ლარზეც ავიდა, სწორედ ამ დიაპაზონში, ანუ 2.00-1.95-2.15 ფარგლებში ცურავდა ლარი 2007 წლამდე. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველომ ბელგიის მეგობართა კლუბის მიერ გამოყოფილი 4.5 მილიარდი დოლარის ათვისება დაიწყო. როგორც კი ეს წყარო შემოვიდა, რომელიც ლარი-დოლარის კურსს დააწვა, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში, 1.65-მდე გამყარდა. ეს იყო ახალი წონასწორობის წერტილი 2012 წლამდე, ვიდრე ბელგიის მეგობართა კლუბის 4.5 მილიარდდოლარიანი დახმარება არ ამოიწურა. 2012 წლიდან, კურსი ისევ მაღლა მიიწევდა და 1 აშშ დოლარი ჯერ 1.75 ლარი, შემდეგ კი 2.02 ლარი გახდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა, ამ სქემით მთავრობას კი არ ვამართლებ, კითხვას ვსვამ — ახლა რა ხდება, კარგად გვაქვს საქმე? ეს სქემა მხოლოდ ვითარების ანალიზი და ახსნაა, თორემ საქმე კარგად არ არის! ის, რომ ნაციონალური მოძრაობა, ოცნებას მართვაში არ სჯობდა და უკეთესი ეკონომიკური მენეჯერები არ იყვნენ, იმ ცხრილშიც კარგად ჩანს, რომლითაც დასტურდება, რომ ოცნების ხელისუფლების დროს, გადასახადების ამოღება გაიზარდა! საქმე კარგად არ არის, მაგრამ ნაციონალებს ოცნების მიმართ, არაფერი სასაყვედურო არ აქვთ, თავის მხრივ, ოცნებას რომ გადამწყვეტი სამოქმედო გეგმა სჭირდება, ეს გარდაუვალია! ამიტომ თავი უნდა დავანებოთ კეკლუცობას ნაციონალების წინაშე, არადა, ყველაფერში ვეკეკლუცებით, იმაშიც კი, რომ ახალგაზრდა, 24-25 წლის კადრებს სხვადასხვა თანამდებობაზე ვნიშნავთ და ფაქტობრივად, ვღუპავთ! არ შეიძლება, რომ 25 წლის ახალგაზრდა ფულად-საკრედიტო, თუნდაც ფისკალურ პოლიტიკაში ერკვეოდეს და მიზეზ-შედეგების ანალიზით იხილავდეს ყველა ნაბიჯს! ზომიერად, პირიც საჭიროა, მაგრამ დროს იმაში არ უნდა ვატარებდეთ, როგორ გავცეთ ნაციონალებს პასუხი ტელევიზიით.

— ბიძინა ივანიშვილის იმ ცნობილ განცხადებას, რომლითაც ლარის გაუფასურებას ეროვნული ბანკს აბრალებს, მეორე დღესვე, შედეგად ლარის კურსის გამყარება როგორ მოჰყვა?

— არ მჯერა, ლარის გამყარება ბიძინა ივანიშვილის განცხადების შედეგი იყო. თუმცა ბატონი ბიძინა უდიდესი ავტორიტეტის მქონე ადამიანია და ასეთ განცხადებებს ფრთხილად უნდა აკეთებდეს. იმიტომ კი არა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრია, ბიძინა ივანიშვილია და მორჩა! ნებისმიერ განცხადებას, რასაც მრჩევლები ურჩევენ, უნდა ფილტრავდეს, რადგან ხშირად, მრჩევლები არასწორ რჩევებს აძლევენ. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული ბანკი რთული და დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტია, მისი საჯარო კრიტიკა ფინანსურ სფეროს არ არგებს. ლარის სტაბილურობა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას კი არ მოჰყვა, მოსახლეობამ დაინახა, როგორ მუშაობს მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთად, რამაც სპეკულაციური აჟიოტაჟი შეამცირა. ხაზგასმით გეუბნებით, დღეს საქართველოს სიმყარის ერთადერთი გარანტი მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები, ბანკები არიან და ღმერთმა არ ქნას, ამ სიმყარეს საფრთხე დაემუქროს! დღეს ჩვენი გადარჩენა მსხვილი საბანკო ინსტიტუტები და ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის დაცვაა! თავის დროზე, ზარბაზნების, ქვემეხებისა და შიდაბანდიტური დაჯგუფებების ფონზე, საქართველომ ყველაზე კარგად სწორედ ბანკების მშენებლობა განახორციელა და ამის შედეგია ის მყარი საბანკო სისტემა, რომელიც ქვეყანაში არსებობს. თქვენი ჭირიმე, საფინანსო ინსტიტუტებს, ბანკებს ხელი არ ახლოთ, რადგან ამ კრიზისიდან გამოსვლის გარანტი მსხვილი კომერციული ბანკებია!





რატომ ცდილობს კრემლი ნემცოვის მკვლელობის საქართველოსთვის გადმობრალებას და რისთვის ემზადება რუსეთი აფხაზეთში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

Комсомольская Правда ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ბორის ნემცოვის მკვლელობის ახალ ვერსიას ავითარებს, რომლის მიხედვით, მკვლელობის შემკვეთების კვალი საქართველოსკენ მოდის. რუსული გაზეთის მტკიცებით, დაკავებული 5 ეჭვმიტანილიდან, 2 ჩეჩენი, ანზორ და შაგიდ გუბაშევები, საქართველოს რამდენიმე წლის წინ სტუმრობდნენ. რიგი ექსპერტები კი ნემცოვის მკვლელობასთან გივი თარგამაძეს აკავშირებენ, როგორც „ბოლოტნაიას“ პროცესების, ე.წ. ნარინჯისფერი რევოლუციისა და მაიდნის მოწყობაში მხილებულ პირს. მას სააკაშვილის მეგობრად მოიხსენიებენ. ნემცოვისა და თარგამაძის ურთიერთობების დეტალებზე საუბრობენ — მოკლედ, კრემლთან დაახლოებული ექსპერტ-ჟურნალისტები, რუსეთის უშიშროებასთან ერთად, ნემცოვის მკვლელობის ახალ ვერსიაზე მუშაობენ, რაც მკვლელობის დაკვეთას რუსეთის ფარგლებსგარეთ გულისხმობს. რატომ ცდილობენ საქართველოსკენ ხელის გამოშვერას, რატომ ემთხვევა აფხაზეთში მასშტაბური წვრთნების დაწყება ამ ვერსიის გაჟღერებას და რეალურად, რისთვის ემზადება რუსეთი — „ვერსიისთვის“ ანალიზს „სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე აკეთებს.

— ჩეჩნების შესახებ ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, იყვნენ თუ არა საქართველოში. თუმცა გივი თარგამაძის სახელის გაჟღერებით, კვალი, რა თქმა უნდა, საქართველოსკენ მოდის. გივი თარგამაძე ურეიტინგო ფიგურაა და ამის შესახებ რუსეთშიც იციან. თან საქმე მარტო ურეიტინგობაში ხომ არ არის, მისი სახელისა და გვარის თუნდაც ვერსიის დონეზე გაჟღერება ვიღაცას საქართველოშიც ესიამოვნება. ამით რუსეთი რამდენიმე კურდღელს ერთდროულად დაიჭერს: ეს პერსონალურად, გივი თარგამაძის დისკრედიტაციაა, ასევე საქართველოსი, როგორც ქვეყნის და სავარაუდოდ, საქართველოს უკან მდგომი დასავლეთისაც. თანაც, ამით ყურადღებას კრემლიდან სხვა ქვეყნის მიმართულებით გადაიტანენ. გარდა ამისა, რუსეთში ყველასთვის ცნობილია, რომ გივი თარგამაძესა და ბორის ნემცოვს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ ეს ვერსია ბევრისთვის მიმზიდველია და, პირველ რიგში, კრემლისთვის.

— სწორედ ამ ფონზე, რუსეთი ბრალს აფხაზეთში ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებაზე ხელის არმოწერაში გვდებს და საკმაოდ მასშტაბურ წვრთნებს აგრძელებს აფხაზეთში, სადაც საჰაერო და ჯავშანტექნიკაა ჩართული. 11 მარტს კი ერთმანეთს ლავროვი და აფხაზეთის დეფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდებიან, თანამშრომლობის გაძლიერებაზე სასაუბროდ — ეს მხოლოდ ძალების დემონსტრირებაა რუსეთის მხრიდან თუ უფრო სერიოზული გზავნილი?

— რუსეთის ქმედებები, ზოგადად, ერთი ოპერიდანაა. თუმცა ამ წვრთნების დაწყებას ორი მიზეზით ვხსნი: ერთია, რომ ესაა რუსეთის პასუხი შავ ზღვაში ნატო-ს საზღვაო ხომალდების, სამხედრო კონტინგენტის გამოჩენაზე. ნატო-ს ხომალდებიც უკრაინის ტერიტორიული წყლების მოსაზღვრე ნაწილში ასევე დემონსტრაციულად მოძრაობენ და ყველამ ვიცით, რომ რეალურად, უკრაინას არ ეხმარებიან, ამიტომ მათ რუსეთიც დემონსტრაციულად პასუხობს; და მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი: ამერიკელმა ინსტრუქტორებმა სწორედ ახლა დაასრულეს ერაყის არმიის იმ ნაწილების წვრთნა, რომელიც ისლამისტების წინააღმდეგ დიდ სახმელეთო ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ოპერაციაში ასევე ჩაერთვებიან ერაყის ის სამხედრო ფორმირებები, რომლებიც ახლაც იბრძვიან, ასევე ქურთების სამხედრო ფორმირება „ბეშმერგა“. ავიაციის თვალსაზრისით, ამ ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე ამერიკელები, ფრანგები და არაბული ქვეყნების, იორდანიის, გაერთიანებული საამიროების წარმომადგენლები. მოკლედ, ეს ძალზე ფართომასშტაბიანი ოპერაცია იქნება, რომელიც, დასავლელი ექსპერტების აზრით, ისლამისტების, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ერთეულის განადგურებით უნდა დასრულდეს. თუმცა ევროპული ქვეყნებიცა და რუსეთიც შეშინებულნი არიან, რადგან ფიქრობენ, რომ ამ ბრძოლაში დამარცხებული ისლამისტები, პირს აუცილებლად შუააზიისკენ იზამენ.

— და შესაბამისად, საქართველოს სამხრეთ კავკასიისკენ მოაწყდებიან. ჩრდილოკავკასია ისედაც ნელი მოქმედების ნაღმია. ეს ნიშნავს, რომ ორმხრივ საომარ ალყაში აღმოვჩნდებით?

— აუცილებლად მოაწყდებიან ჩრდილო და სამხრეთ კავკასიას და მიუხედავად იმისა, რომ რუსი სამხედრო ექსპერტები ამ პროცესში, თითქოს, ამ გათვლას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, სინამდვილეში, ამ წვრთნებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ნაწილობრივ ეს მიზანიც აქვს — მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში, რუსული არმიაც მზად უნდა იყოს ამ ნაკადების შესაჩერებლად. სინამდვილეში, ეს წვრთნები, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში და შუააზიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსეთის საზღვართან მიმდინარეობს, სწორედ რუსული არმიის მომზადებას ემსახურება, რათა იგი მომზადებული დახვდეს ისლამისტების სავარაუდო მასობრივ შემოდინებას.

— საქართველოში რამდენადაა ეს საფრთხეები გაანალიზებული და შესაბამისი სტრუქტურები ჩვენთანაც თუ ემზადებიან?

— ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. ვერანაირ მომზადებას ვერ ვხედავ, თუმცა ღმერთმა ქნას, ეს პროცესი ჩვენგან ჩუმად მაინც მიმდინარეობდეს. ჩრდილოეთიდან რუსეთია, სამხრეთიდან ისლამური სამყარო და საქართველო საფრთხის წინაშე ისედაც მუდმივად დგას. ჩვენს ტერიტორიაზე ძალზე ინტენსიურად მუშაობს ერთი მხრივ რუსული, მეორე მხრივ კი ისლამური სპეცსამსახურები და თუნდაც მათი მუშაობის ამ ინტენსივობით უნდა მივხვდეთ, რამხელა საფრთხის წინაშე ვდგავართ. ჩემთვის ცნობილია, რა ტიპის ჯგუფები მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით, ისლამისტები სამხრეთ საქართველოში. ვფიქრობ, ამის შესახებ მთავრობამაც უნდა იცოდეს და იმედია, სათანადოდ ემზადება.

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრები შველას ითხოვენ

„მოგახსენებთ ბათუმის №3 დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე, თუ რა გაუსაძლის პირობებში გვიწევს სასჯელის მოხდა... ვართ სხვადასხვა დაავადებით დაინფიცირებულები, ეს იცის მთავარმა ექიმმა — ზურა ორაგველიძემ, დროულად გვესაჭიროება გამოკვლევები და სასწრაფო მკურნალობის კურსი გვაქვს ჩასატარებელი. ათასი თხოვნის მიუხედავად, არ გვხვდება, მარტო გვითვლის ექიმების პირით — მერე რა ვუყო, თუ ავად არიან, მე ხომ არ გავხადე ცუდადო... იმეორებს იგივე სიტყვებს, რასაც ამბობდა წინა ხელისუფლების რეჟიმის დროს. როცა წამლებს ვითხოვთ, გვპასუხობენ, რომ სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე თამთა დემურიშვილი არ უგზავნის წამლების საჭირო მარაგს; დაწესებულებაში არ არსებობს აფთიაქი, რომ ჩვენი ხარჯით შევიძინოთ მედიკამენტები“, — ეს ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულების „ბინადართა“ წერილიდანაა ამონარიდი. წერილი რამდენიმე დღის წინ მოვიდა „ვერსიაში“, სადაც პატიმრები, მხოლოდ ექიმების გულგრილობაზე კი არა, დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის ყოფაზეც საუბრობენ. აცხადებენ, რომ საკვები ყოვლად უვარგისია და ყოველგვარი ეკოლოგიური ნორმების დაცვის გარეშე მზადდება; გარდა ამისა, გრაფიკით მიეწოდებათ წყალი, დღე-ღამეში მხოლოდ 4-5 საათით, რაც ხშირად დეზინტერიისა და სხვა დაავადებების გამომწვევი ხდება. პატიმრები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ საკნებში არ არის ვენტილაცია, — **„საკნის ფანჯარა ძალიან პატარაა და არ მოგვეწოდება ჟანგბადი; ვერ ვსარგებლობთ კუთვნილი ერთსაათიანი ჰაერზე გასეირნებით“...** ამბობენ, ახალმიყვანლებს ზამთარში თბილ ტანსაცმელს ართმევენ, დაწესებულების თანამშრომლებიც აგრესიულად ექცევიან მსჯავრდებულებს და ემუქრებიან — **„№7 მკაცრი დამსჯელი იზოლატორი „სამინისტროზე“ უარესი იქნებაო“...** პატიმრები აღნიშნავენ, რომ ეს ყველაფერი კარგად იცის სახალხო დამცველმა, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევს.

ირღვევა თუ არა ბათუმის №3 დაწესებულების პატიმართა უფლებები და რა ხდება რეალურად, „ვერსია“ ვითარებაში უკეთ გასარკვევად, სასჯელაღსულების სამინისტროს დაუკავშირდა:

„არ ვადასტურებთ, რომ მთავარი ექიმი ზურა ორაგველიძე არ ხვდება პატიმრებს. სამედიცინო პერსონალი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს, აკეთებს შესაძლებლობების მაქსიმუმს და პატიმრებიც დაუბრკოლებლად იღებენ შესაბამის სამედიცინო მომსახურეობას... რაც შეეხება მედიკამენტების დეფიციტს, სიმართლეს არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დაწესებულებას წამლებით არ ამარაგებს.

WHO რეკომენდაციების თანახმად, შეიქმნა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის მედიკამენტების სტანდარტი და გაუმჯობესდა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. მედიკამენტებზე დანახარჯი 2013-დან 2014 წლამდე 3-ჯერ გაიზარდა (64-დან 184 ლარამდე). შესაბამისად, ინფორმაციას, თითქოს პატიმრებს მედიკამენტები არ მიეწოდებათ, არ ვადასტურებთ“.

რაც შეეხება №3 დაწესებულებაში აფთიაქის არარსებობას, სასჯელაღსულების სამინისტროში აცხადებენ, რომ იქ ფუნქციონირებს წამლების სამარაგო — ავტორიზებული აფთიაქი, რომელსაც ჰყავს პასუხისმგებელი პირი — ფარმაცევტი. მედიკამენტები დაწესებულებას ბაზისური მედიკამენტების ჩამონათვალის შესაბამისად მიეწოდება სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმის ყოველთვიური და ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, რომლის შედგენაშიც მონაწილეობენ დაწესებულების ფარმაცევტი და ექიმები. დაწესებულების აფთიაქიდან მედიკამენტების გატანა კი მხოლოდ დანიშნულების საფუძველზე ხდება: **„№3 დაწესებულების აფთიაქი ბოლოს მიმდინარე წლის 20 თებერვალს მომარაგდა და მარაგი დამატებით 17 დასახელების მედიკამენტით შეივსო“.**

„ვერსიისთვის“ კომენტარს, ბათუმის №3 დაწესებულების მთავარი ექიმი **ზურაბ ორაგველიძეც** აკეთებს: **„აღშფოთებული ვარ გავრცელებული დეზინფორმაციითა და ცილისწამებით. ექიმი ვარ და ჩემი პროფესიული, პიროვნული ღირსება ილახება, დამამცირებელია, რომ ჩვენი ტიტანური შრომის მიუხედავად, ვრცელდება ცალმხრივი, გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რითაც კნინდება ჩემი პროფესიული თავმოყვარეობა. პატიმრები ყველა მედიკამენტით უზრუნველყოფილნი არიან, რაც სჭირდებათ და შესაბამისად, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე თამთა დემურიშვილი ციხეებს წამლებით არ უზრუნველყოფს.**

სამედიცინო პერსონალი 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ და პასუხად ასეთ ცილისწამებას ვიღებთ. მსჯავრდებულები გარკვეული დივიდენდების მიღების მიზნით იგონებენ არარეალურ ისტორიებს. მესმის, რომ მათი უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ ძალიან ვთხოვ მედიასა და არასამთავრობო სექტორს, ვიდრე გადაუმოწმებელ ინფორმაციას გაავრცელებენ, დაფიქრდნენ ჩვენი უფლებების დაცვაზეც“.

ამ ვითარებაში, ძნელია გარკვევა, სად მთავრდება სიცრუე და იწყება სიმართლე. და ჩვენი მიზანი, რომელიმე კონკრეტული პირის მხარდჭერა ნამდვილად არ არის, მაგრამ საქართველოს ციხეებში არსებული გაუსაძლისი პირობები და პატიმრებზე ძალადობა, ჩვენი საზოგადოებისთვის არახალია. არც იმას აღიარებს ვინმე, რომ მსჯავრდებულებზე ფიზიკური თუ მორალური ძალადობა წესადაა ქცეული და შესაბამისად, ვერც იმას გავარკვევთ, საკანში წყალი და ვენტილაცია აქვთ თუ არა პატიმრებს, მაგრამ სასჯელაღსრულების სამინისტროს ასეთი პოზიცია აქვს: **„ბათუმის განახლებული №3 დაწესებულება 2013 წლის 30 აპრილს გაიხსნა. სრულად გარემონტდა და მაქსიმალურად მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. დაწესებულებაში განთავსებულია გათბობის ახალი სისტემა, ხანგრძლივი პაემისთვის განკუთვნილი ოთახი, ბიბლიოთეკა, სასეირნო და სავარჯიშო სივრცე 230 პატიმარზე.**

რაც შეეხება წყალმომარაგებას, ბათუმის იმ რაიონის მაცხოვრებლებს, სადაც აღნიშნული დაწესებულებაა განთავსებული, წყალი გრაფიკით მიეწოდებათ და იგივე პირობები ვრცელდება №3 დაწესებულებაზეც, თუმცა ნაწილობრივ გადავჭერით მოცემული პრობლემა და ციხეში დავამონტაჟეთ 60-ტონიანი ავზი, უახლოეს მომავალში კი კიდევ ერთი რეზერვუარის მოწყობა იგეგმება“.

ეს უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ დღემდე უპასუხოდ რჩება კითხვა — რატომ ართმევენ ახალშესულ პატიმრებს ზამთარში თბილ ტანსაცმელს? სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს დასჯის ან ზეწოლის ხერხი არ არის და **„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით, მკაფიოდ გაწერილია იმ ნივთების სია, რომლის ამანათის სახით მიღებისა და გამოყენების უფლებაც პატიმრებს გააჩნიათ. ამ ბრძანების მიხედვით, პატიმრებისთვის ნებადართულია სეზონური მაისურისა და სვიტრის გამოყენება, მხოლოდ თავსაფრის გარეშე. შესაბამისად, ჩამორთმევა შეიძლება შეეხოს მხოლოდ კანონით აკრძალული ტიპის სამოსს“.**

რაც შეეხება პატიმრებზე ძალადობასა და მათ მიმართ აგრესიას, სასჯელაღსრულებაში განმარტავენ: **„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იქნება ძალიან მკაცრი და შეურიგებელი სისტემის თანამშრომლების მხრიდან ნებისმიერი გადაცდომისა და კანონდარღვევის მიმართ, რასაც ადასტურებს უკანასკნელი ფაქტი — როცა მსჯავრდებულების მიერ პატიმარზე ძალადობის სავარაუდო შემთხვევასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა №17 დაწესებულების დირექტორი. ამდენად, მიდგომა უკომპრომისოა. სამინისტროს შესაბამისი უწყებები დეტალურად სწავლობენ ასეთი ხასიათის ყველა განცხადებას და კანონდარღვევის დადასტურების შემთხვევაში, იქნება ადეკვატური რეაგირება.**

სამინისტრო უზრუნველყოფს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლების უპრობლემო შესვლასა და მუშაობას დაწესებულებებში, თუმცა მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციების დამუშავება და გასაჯაროება სახალხო დამცველის აპარატის პრეროგატივაა (ჩვენი სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია, როცა პატიმრები, საკუთარი არალეგიტიმური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სხვადასხვა ინსინუაციას მიმართავენ და რეალობა სცდება მსჯავდებულთა მონათხრობს). თავის მხრივ, სამინისტრო ყოველთვის ყურადღებით ეკიდება და სწავლობს ომბუდსმენის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს“.

ვერსიანიუსი

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისა და პოლიციელისთვის შეუფერებელი ქმედებისთვის შსს-ს თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს

შსს-ს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისა და პოლიციელისთვის შეუფერებელი ქმედებისთვის პოლიციის ლეიტენანტი ვანო შოშიაშვილი სამსახურიდან დაითხოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე შემოვიდა შეტყობინება, პოლიციის ლეიტენანტ ვანო შოშიაშვილის მიერ სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილეობის ფაქტზე.

დადგინდა, რომ 2015 წლის 9 მარტს, დაახლოებით 16:00 საათზე, ვანო შოშიაშვილი თავისი კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა ქ.თბილისში, ვაზისუბანში, რა დროსაც ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა ორ ავტომანქანას. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება არავის მიუღია, დაზიანდა მხოლოდ ავტომანქანები. ამასთანავე, ვანო შოშიაშვილი აგრესიულად იქცეოდა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის მოსამსახურეებმა ვანო შოშიაშვილი ალკოტესტით შეამოწმეს სიმთვრალე-სიფხიზლეზე, რის შედეგადაც დაუდგინდა ალკოჰოლური თრობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის მას დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი — მართვის უფლების 3 წლით შეჩერება.

ამდენად, პოლიციის ლეიტენანტმა ვანო შოშიაშვილმა ჩაიდინა შსს-ს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა შს მინისტრის 2013 წლის 17 იანვრის №26 ბრძანების მოთხოვნათა დარღვევაში.

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის, ვანო შოშიაშვილს უკვე ჰქონდა მიღებული სასტიკი საყვედური.

„ვერსიანიუსი“

თელავში 30 წლის მამაკაცი მოკლეს

30 წლის ანდრო ბოჭორიშვილი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა, მისი ძმა ირაკლი ბოჭორიშვილი კი დაჭრილია.

შემთხვევა ე.წ. ლეგიონის დასახლებაში მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, ძმებ ბოჭორიშვილებს თავს საკუთარი სახლის წინ დაესხნენ.

ანდრო ბოჭორიშვილი ადგილზე გარდაიცვალა. მძიმედ არის დაჭრილი მისი ძმა, რომელიც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტებმა და პოლიციამ. გამოძიება მკვლელობის მიზეზს ადგენს.

ადგილობრივების ცნობით, ძმები პროფილაქტიკაში მუშაობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ მოქმედმა პოლიციელმა ესროლა.

„პირველი“

ნემცოვის მკვლელობის თვითმხილველის ჩვენება

ანა დურიცკაიამ დეტალები გაამხიდა

უკრაინელი ფოტომოდელი ანა დურიცკაია, რომელიც მკვლელობის მომენტში პოლიტიკოს ბორის ნემცოვთან ერთად მოსკვორეცკის დიდ ხიდზე იმყოფებოდა, ჟურნალისტებს მკვლელობის შესახებ ესაუბრა და აღიარა, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი არ ახსოვს.

თვითმხილველმა გამორიცხა ეჭვიანობის ნიადაგზე მკვლელობის ვერსია, თუმცა უარი თქვა სხვა ვერსიის გამხელაზე. „არ ვიცი, ეს ვინ ჩაიდინა“, — თქვა დურიცკაიამ ტელეკომპანია „დოჟდთან“ ინტერვიუში და დასძინა, რომ ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია.

დურიცკაიას თქმით რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წევრები აკონტორლებენ მის ყველა ქმედებას და უკრაინაში გამგზავრებაშიც უშლიან ხელს, სადაც გოგონას თქმით, ავადმყოფი დედა ელოდება. ის ასევე უკმაყოფილოა, მასთან ორი დღის განმავლობაში არ უშვებდნენ უკრაინის კონსულს.

„კანონის მიხედვით უნდა გამიშვან, რადგან, ეჭვმიტანილი კი არა, თვითმხილველი ვარ. ამასთან, ისინი ვერ მიხსნიან, რატომ დამყვება დაცვა და რატომ არ მაძლევს უფლებას გადავიდე უკრაინის ტერიტორიაზე“, — განაცხადა მან და ხაზი გაუსვა, რომ გაუსვლელობის ხელწერილზე ხელი არ მოუწერია. თან დაამატა, რომ მიიღო გადაწყვეტილება, არ დასწრებოდა ნემცოვის გამოსამშვიდობებელ ცერემონიას.

„არ მახსოვს“

დურიცკაიამ მოყვა, რომ მკვლელობის დღეს ნემცოვს, რომელიც სამი წლის წინ გაიცნო, კაფე „ბოსკოში“ შეხვდა, დაახლოებით თორმეტის თხუთმეტ წუთზე კი, პატარა ორდინკის გავლით, ისინი ნემცოვის სახლისკენ გაემართნენ. მკვლელობისას დამნაშავე ვერ დაინახა, რადგან მათ ზურგსუკან იმყოფებოდა. **„მანქანა დავინახე, რომელიც უკვე დანაშაულის ადგილიდან მიდიოდა, თუმცა ნომრის, მარკისა და ფერის გარჩევა ვერ მოვახერხე“,** — თქვა გოგონამ „ეხო მოსკვის“ რადიოეთერში.

დურიცკაიას თქმით, იგი გაეკიდა გზაზე მიმავალ საგზაო სამსახურის მანქანის მძღოლს, რომლისთვისაც უნდოდა, პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ნომერი ეთხოვა. რა თქმა უნდა, მძღოლი დაეხმარა, თუმცა შოკური მდგომარეობის გამო ისიც არ ახსოვს; ასევე მას არ ახსოვს სხვა ადამიანები, რომლებიც გამოჩნდნენ ვიდეოჩანაწერზე. მისი თქმით, პოლიცია მალე მოვიდა, ხოლო სასწრაფო დახმარების გამოჩენა არ ახსოვს, რადგან უკვე პოლიციის მანქანაში იმყოფებოდა.

„უკვე ყველაფერი ვთქვი, რაც ვიცოდი“

უკრაინელი მოდელის თქმით, მკვლელობის შემდეგ შვიდი საათის განმავლობაში კითხავდნენ. ამის შემდეგ საგამოძიებო ქმედებებს ყოველდღე ატარებენ, თუმცა განაცხადა, რომ, რაც იცოდა, ყველაფერი თქვა. ახლა ის ნემცოვის თანამებრძოლებთან ერთად იმყოფება, თუმცა კართან პოლიცია დარაჯობს და ქალაქში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ აძლევს. გოგონას თქმით, უკვე არ სჯერა გამომძიებლების სიტყვების, რომლებიც გათავისუფლებას ყოველდღე ჰპირდებიან: **„არ მესმის, აქამდე რატომ მიკრძალავენ დედასთან წასვლას. ამბობენ, კანონის მიხედვით შემიძლია დავტოვო ქვეყანა, მაგრამ ვერ მიხსნიან, აქ რატომ მაჩერებენ. დედა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ვერ ხვდება, რატომ არ მიშვებენ, რადგან იცის, უკვე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო“.**

„ეხო მოსკვისთან“ ინტერვიუში ანა დურიცკაიამ განაცხადა, რომ შეიძლება სიცრუის დეტექტორის გავლა მოსთხოვონ, თუმცა მისი ადვოკატი ვადიმ პროხოროვი აცხადებს, რომ ასეთ პროცედურაზე უარს იტყვიან.

„იმის გათვალისწინებით, რომ ახალ ჩვენებებზე არ იქნება ლაპარაკი და ძველი ჩვენებების გადამოწმება მოხდება, მისი ჩვენებების სისწორეში კი არავის ეპარება ეჭვი, სიცრუის დეტექტორზე უარს ვაცხადებთ. მას ახლა ძალიან რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვს. ასეთი დაკითხვა კი დამატებითი სტრესი იქნება“, — ციტირებს პროხოროვს „ინტერფაქსი“.

რუსუდან ხავთასი

ყველაზე მდიდარი ებრაელების სკანდალური სია

ათეულ მიღიარდებად შეფასებული ქონება და ქვემოქმედება სახელწოდებით — „ოფერი“

ყველაზე მდიდარი ებრაელების სიას სათავეში უდგას ეალ ოფერი. 2011 წელს გარდაცვლილი მილიარდერი სემი ოფერის ვაჟი. მისი ქონება შეფასებულია რვა მილიარდ დოლარად. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში ის ასორმოცდამეთექვსმეტე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ სემი ოფერსის ქონება გარდაცვალებისას ათ მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. ოფერის ოჯახი ეხუდ ანჟელთან ერთად მართავს კომპანიას Israel Corporation, რომელიც ყველაზე მსხვილ ებრაულ კომპანიადაა აღიარებული. მისი შემოსავალი კი ოცდაჩვიდმეტ მილიარდ დოლარს შეადგენს. ის ასევე მართავს: ZIM-ს, რომელიც მსოფლიოში მეათე გადამზიდი კომპანიაა, Oil Refineries-ს, რომელიც ნავთობგადამამუშავებელი კომპანიაა და ბანკ „მიზრახი ტფახოტს“. ოფერის ოჯახი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპონსორია. გარდა ამისა, ამ ოჯახს ეკუთვნის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ხელოვნების შედევრების კოლექცია.

მეორე ადგილზეა ოთხმოცდარვა წლის მრეწველი და ყოფილი დეპუტატი კნესეტა სტეფ ვერტხაიმერი, რომლის ქონება დაახლოებით ექვს მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

მესამე ადგილს იკავებს სამოცდაათი წლის კინოპროდუსერი არონ მილჩენი. იგი ფლობს კომპანიას New Regency Films, წარსულში კი ებრაული დაზვერვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი იყო. მისი ქონება ხუთ მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მელჩინის ცნობილი ფილმებია: „ლამაზმანი“, „მისტერ და მისის სმიტები“, „მებრძოლთა კლუბი“, „შავი რაინდი“ და ა.შ. ახლახან ეკრანებზე გამოვიდა ფილმები: „მონობის თორმეტი წელი“, „დაკარგული“ და „ბერდმენი“. მისმა მრავალმა ფილმმა ოსკარიც კი დაიმსახურა.

მეოთხე ადგილს იკავებს ეალ ოფერის ძმა იდან ოფერი. მისი ქონება შეფასებულია ხუთ მილიარდ დოლარად. მას ასევე აქვს გადამზიდი კომპანია. მან და მისმა ძმამ მამის გარდაცვალების შემდეგ გადაინაწილეს ქონება. იდან ოფერმა ასევე შთამომავლობით მიიღო მამამისის ძალიან ძვირადღირებული კოლექცია, რომელშიც შედის ვან გოგისა და პიკასოს ნახატები. გარდა ამისა, იდანმა ლონდონის ბიზნესსკოლას გადაურიცხა ორმოცდაორი მილიონი დოლარი კამპუსის შესაკეთებლად და ახალი შენობის ასაშენებლად, რომელსაც უკვე ძალიან მალე დაერქმევა სემი ოფერის ცენტრის სახელი.

მეხუთე ადგილს იკავებს ისრაელში და ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მდიდარი ქალბატონი შერი არისონი, რომელიც ბანკ „აპოალიმის“ საკონტროლო პაკეტისა და კომპანია Arison investment-ის მფლობელია. მან ქონება მამის — ტედ არისონისგან შთამომავლობით მიიღო. ამჟამად მისი ქონება შეფასებულია ოთხ მილიარდ დოლარად.

რუსუდან ხავთასი

ეგვიპტელმა მუსულმანმა 1,90-მეტრიანი ჯვარცმა მოხერხა

საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის შემდეგ არც ავსტრიაში არიან მშვიდად მუსულმანები. ისლამის მიმდევარმა ერთმა მამაკაცმა, 1,90 მეტრი სიმაღლის, 60 წლის წინ გაკეთებული ქრისტიანული ჯვარი მოხერხა, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით. მსგავსი პრობლემა, პერიოდულად საქართველოშიც იჩენს თავს — ხან მეჩეთებზე დავობენ, ხანაც ახალს აშენებენ უკანონოდ...

სულ რაღაც 2 კვირის წინ, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, საფრანგეთის მსგავსად, მუსულმანებმა ჩაატარეს მიტინგი მოთხოვნით — გაეთავისუფლებინათ მათი თანამოაზრე, რომელიც დაკავებული ჰყავს ავსტრიის პოლიციას. ისინი აპროტესტებდნენ კანონს, რომელიც ავსტრიამ ახლახან მიიღო: აიკრძალა საზღვარგარეთიდან ჯიჰადის სკოლებისა და ბაღების დაფინანსება. აქამდე ეს სკოლები და ბაღები არაბეთიდან, თურქეთიდან და სხვა მუსულმანური ქვეყნებიდან ფინანსდებოდნენ. გადასახადის გადაუხდელობის გამო ჯიჰადის ბევრი სკოლა დაიხურა. ხშირად, რაღაც ფირმა ყიდულობდა შენობას თავისი კულტურული სახლის გასაკეთებლად. ან, ამ მიზნით, მიწას ყიდულობდნენ და მასზე მშენებლობას იწყებდნენ. მშენებლობის პროცესში უცვლიდნენ რეგისტრაციის სახელს და რეგისტრირდებოდა ბაღად, ხოლო შენობის დამთავრების შემდგომ ისევ ახალ სახელს იძენდა: ჯიჰადის საშუალო სკოლა. ეს კი ეგონათ, შეუმჩნეველი დარჩებოდა, თანაც დაფინანსებაც ზემოთ აღნიშნული ქვეყნებიდან მოდიოდა. პარალელურად, ამ მიტინგის საწინააღმდეგო ანტიმუსლიმური 10 სხვა მიტინგი ჩატარდა.

ამ პრობლემას, ნორვეგიის ქალაქი ოსლოც დაემატა: 21 თებერვალს ავსტრიის ერთ-ერთმა წამყვანმა ტელეარხმა PULS4, საღამოს 18:00 საათზე, საინფორმაციო გადაცემაში რეპორტაჟი გადმოსცა, თუ როგორ მიდიან ევროპიდან ებრაელები იმ მიზეზით, რომ ევროპა მათთვის უსაფრთხო აღარ არის.

რაც შეეხება მოხერხილი ჯვრის ისტორიას — თავისი ნაკვეთის წინ, უზარმაზარი ჯვარცმა, ავსტრიის ერთ პატარა ქალაქ Gross Enzesdorf-ში, ეგვიპტელმა მუსულმანმა მამაკაცმა მოჭრა. ამ ფაქტმა ძალიან გააბრაზა ავსტრიელები, მითუმეტეს, ადგილობრივები. ეს ფაქტი, ყველა წამყვანი გაზეთის კრიტიკის საგანი გახდა. ისლამისტების გაერთიანების წარმომადგენლები ამბობენ, რომ პატივი უნდა სცენ სხვა რელიგიებსაც, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ისინი მარტო სიტყვით შემოიფარგლებიან და საპირისპიროს აკეთებენ.

ლევან ხვედელიძე, „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან (ვენა)

ქართული ბადრიჯანი ნიგვზით, ავსტრიის კატალოგში საუკეთესო რეცეპტთა ჩამონათვალში მოხვდა

საამაყო და სასიხარულოა, როცა ავსტრიულ პრესაში საქართველოს შესახებ დადებით ინფორმაციას ამოიკითხავ. წლების განმავლობაში ჩემი სტატიების 98% კრიმინალის მიმოხილვას ეხებოდა. იშვიათად წააწყდებით სადმე სტატიას ან სიუჟეტს, რომელიც ქართველის წარმატებას ან აქ მოღვაწე ქართველის საინტერესო ისტორიას ეძღვნება.

ინფორმაცია, რომლის შესახებაც ამჯერად გიამბობთ, სასიამოვნო გამონაკლისია — მოდისა და სამკაულის კატალოგი Look ავსტრიაში თვეში ერთხელ გამოდის და 3 ევროდ იყიდება. ეს კატალოგი იმდენად პოპულარულია, რომ მასში, ბრენდების მიერ წარმოებულ თეთრეულს, მსოფლიოში პოპულარული ქალბატონები უკეთებენ რეკლამას. მაგალითად, ნაომი კემპლელი, დიტა ვონ ტესი, ჯენიფერ ლოპესი...

კატალოგის ყოველ ნომერში უნდა გამოქვეყნდეს მსოფლიოს 20 ქვეყნის 70 სახეობის სხვადასხვა რეცეპტი. სასიხარულო კი ისაა, რომ ბადრიჯანი ნიგვზით, რომელიც ქართულ სუფრას ამშვენებს, ამჯერად, ამ 70 რეცეპტს შორის აღმოჩნდა. საქართველო კი, გემრიელი კერძების მქონე ქვეყნების ოცეულში მოხვდა. იმედია, ამიერიდან, მსგავს და ამაზე მეტად პოზიტიურ მასალებს მოგაწვდით და ავსტრიულ პრესაშიც, უფროდაუფრო მეტი დადებითი ინფორმაცია გავა, საქართველოსა და ქართველების შესახებ.

ლევან ხვედელიძე, „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან (ვენა)

1. გემის კორპუსის ჰორიზონტ. გადასურვა
2.თევზის კვერცხების ერთობლიობა
3. ფრანგულიდან ნასესხები სიტყვა
4.მოხეტიალე მუსიკოსი ძვ. საფრანგ.
5. ვაჟას პოემა „... ქეთელაური“
6. ევროპელ ებრაელთა ენა
7.ლომის-თავიანი ურჩხული ბერძ.მით.
8. იუპიტერის მეუღლე
9. შეუგნებელი ლტოლვა რაიმესაკენ
10. წმინდა მოგება ძიუდოში
11. თამსა იატაკის და კედლის გადაკვეთასთან
12. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
13. მაუგლის მეგობარი პითონი
14. უკრაინის პარლამენტი
15. აიდას მამა ვერდის ოპერაში
16. იაპონური მულტიპლიკაცია
17. ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთ.
18. მდინარე ესპანურად
19. განთიადი, ალიონი
20.ვარსკ. დაწყობა მწკრივში სიმაღ. მიხედ.
21. მოხარშული ცომის ნაჭრები
22. დახრილი ბრიფტი
23.თიხის ყელვიწრო და მუცლ. ჭურჭელი
24.მეუნი ... „დათა თუთაშხიადან“
25.„თეთრ ოქროდ“ წოდებული მცენარე
26.ბრეცხავი „ვერის უბნის მელოდიებში“
27. ბიბლიური ქვეყანა
28. ცხოველის სხეულის ცხიმი
29. საათის მექანიზმის ნაწილი
30. გეოგრაფიული რუკების კრებული
31. სულდგმული, ქმნილება
32. მარიტანიის დედაქალაქი
33. ხერხემლის ძვალი
34. ჩრდილოეთის ცივი ქარი იტალიასა და საფრანგეთში
35. ორთქლის მანქანის გამმგონებელი
36. სუბტროპიკული ხილი
37. ათენის საფეხბურთო კლუბი
38. იგივეა, რაც ფერმენტი
39. ინგლისელი გიტარისტი კრის ...
40.ერთერთი გრაცია
41. ბუდიზმის დამაარსებელი
42. შენობის შიგნითა ეზო
43.ჯეიმზ ბარის ონავარი ბიჭუნა პიტერ ...
44. აკაკის ძიძა ... სადუნიშვილი
45. იაპონიის ფულის ერთეული
46. მუსიკალური გამის V ნოტი
47. თავის ტვინის „რეზერვუარი“
48. ქართული გაზეთი
49. იტალიის ნახევარკუნძული
50. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
51. დანელიას ფილმი „... დაიდარდო“
52. კრემიანი ნამცხვარი
53. ნოტი „დო“-ს ძველი სახელწოდ.
54. შოტლანდიური ნაგაზი
55. სპორტული ნავი
56. მოტორიანი ნავი
57. იაპონური თეატრის სახეობა
58.თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
59. სასტუმროს მსახური ბიჭი
60. იაპონელი ნობელიანტი მწერალი ქენძაბურო ...
61. ბაშკირების სახალხო დღესასწ.
62. რომის პაპის გვირგვინი
63. საგანგებო დავალება
64. მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მმართველი

მეტროთი მგზავრობა მავნებელია

შვედმა მეცნიერმა, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის დოქტორმა ჰანა კარლსონმა აღმოაჩინა, რომ პატარა ნაწილაკებს, რომელსაც მეტროში არსებული ჰაერი შეიცავს, დნმ-ის დაშლა შეუძლია. სწავლულმა სპეციალური კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგების მიხედვითაც ირწმუნება, რომ მეტროში არსებული ჰაერი ფოლადის პატარა ნაწილაკებს შეიცავს, რომელიც რელსებზე ბორბლების ხახუნის შედეგად ჩნდება. მას შემდეგ, რაც ასეთი „გამდიდრებული“ ჰაერი ადამიანის ფილტვებში ხვდება, უჯრედებში წარმოიქმნება, ე.წ.თავისუფალი რადიკალები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის დნმ-ზე და ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას პროვოცირებს. ასეთი დასკვნა შვედმა დოქტრომა ხელოვნურად შექმნილ ნაწილაკებზე დაკვირვებით გააკეთა. მისივე განცხადებით, მავნებელია ავტომობილის საბურავების ასფალტზე ხახუნის შედგად წარმოწნილი ნაწილაკებიც — ეს მიკროსკოპული სხეულები ადამიანის ორგანიზმში ანთებით პროცესებს იწვევს. სტატისტიკის მიხედვით, მავნე ნივთიერებების შესუნთქვის შედეგად, მხოლოდ შვედეთში, ყოვლწლიურად 5 ათასი ადამიანი იღუპება. სწავლულის განცხადებით, მეტროში არსებული ჰაერი უნდა გაიწმინდოს, სხვა შემთხვევაში, მისი ყველა მგზავრი ონკოლოგიური დაავადების განვითარების მაღალი რისკის ჯგუფში მოხვდება.

იტალიის ქალაქებში კოკაინი აღმოაჩინეს

იტალიის ატმოსფეროს დაბინძურების შემსწავლელი ინსტიტუტმა, ჩატარებული კვლევის შედეგად, ქვეყნის რვა დიდი ქალაქის ჰაერში კოკაინი აღმოაჩინა და შესაძლოა, ამით აიხსნებოდეს აპენინელების ზოგჯერ მოჭარბებული სექსუალურობა. როგორც ერთ-ერთი გამოცემა წერს, ნარკოტიკული ნივთიერება ჯერ კიდევ 2006 წელს „მარადიული ქალაქის“ ჰაერში აღმოაჩინეს, ახლა კი, ახალი კვლევების მიხედვით, კოკაინი კიდევ რამდენიმე ქალაქის — ბოლონიის, ფლორენციის, ტურინის, მილანის, ვერონას, პალერმოსა და ნეაპოლის ატმოსფეროშიც დაფიქსირდა. თუმცა, სწავლულები აღნიშნავენ, რომ ჰაერში ამ ნარკოტიკის დონე არ არის იმდენად მაღალი, ადამიანის გონებაზე მოახდინის ზემოქმედება. აღსანიშნავია, რომ მარიხუანასა და კოფეინის დონე ჰაერში ზამთარში უფრო მაღალია. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეს შესაძლოა იმ ფაქტით იყოს გამოწვეული, რომ წლის ამ დროს ადამიანებს გაღიზიანება აღენიშნებათ და ისინი თვითმკურნალობას მიმართავენ.

ტკბილი ბრილიანტები

რომელ ქალს არ უოცნებია საჩუქრად ბრილიანტებზე? თუმცა, ამ ოცნების ახდენის იმედი მხოლოდ ზოგიერთებს შეიძლება ჰქონდეთ, რადგან დღეს მამაკაცების უმრავლესობას არ აქვს საშუალება, ასეთი ძვირფასი საჩუქარი გაუკეთოს საყვარელ ადამიანს. ამ სიტუაციის შეცლა გადაწყვიტა იაპონურმა საკონდიტრო კომპანიამ Ameya Eitaro — ოფიციალურ საიტზე დააანონსა, რომ პროდუქტის ახალ ხაზს უშვებს — ზუსტ ასლს ცნობილი ბრილიანტებისა, რომელიც შაქრისგან სპეციალური ტექნოლოგიით დამზადდება. ისინი გარეგნულად იმდენად ჰგავს ორიგინალს, რომ სჯობს, საჩუქრის ადრესატი წინასწარ გაფრთხილოთ მისი დანიშნულების თაობაზე. უფრო ადრე, იგივე კომპანიამ სიროპი და კარამელი გამოუშვა, რომელიც ტუჩსაცხის იმიტაცია იყო.



სუდოკუ ფანია

ადვილი

6					9		8	
		2		7		9		
	7		2					1
		5				1	7	
	2	1		8		5	4	
	6	9				8		
5					8		9	
		6		5		7		
	8		1					5

სტანდარტი

			9	2		6	5	
6								9
	4			6			8	
		8		1			3	7
4	2			7		1		
	1			8			2	
9								3
	6	4		3	7			

რთული

3			7				5	4
	7				6			2
4					2	9	8	
2	9							
6		4		1		7		5
							9	6
	6	8	4					9
9			1				7	
7	4				5			1

ექსპერტი

	5				7			
		8					3	2
			1			6	5	
9			2	1				
	1	6	7		5	9	8	
				8	6			7
	7	5			1			
8	6					4		
			4				6	

„ამილე, თუ გცივა"

„მე არ დავკარგულვარ, ამილე, თუ გცივა", — ასეთი შინაარსის ბართები ერთვის კაშნეს, რომელსაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ადამიანები ტოვებენ. Chase the Chill — სოციალურ ქსელში წარმოშობილი კიდევ ერთი მოძრაობაა, რომლის ფარგლებშიც მოხალისეები თბილ აქსესუარებს სხვადასხვა ადგილას ტოვებენ და პატარა ბარათებს ურთავენ. კაშნეს კიდებენ ხეზე, ლამპიონზე, საგზაო ნიშნებსა და პირდაპირ ქუჩაში გაბმულ თოკებზეც კი. აქცია ჯერ კიდევ 2010 წელს წამოიწყო ამერიკელმა მასწავლებელმა და ბლოგერმა სიუზან ჰაქსლიმ, რომელიც პენსილვანიაში, ქალაქ ისტონში ცხოვრობს. ამ უჩვეულო ქველმოქმედებას იგი მეგობრებთან ერთად ეწეოდა, მერე კი სოციალური ქსელის მეშვეობით, უამრავი მხარდამჭერი გამოუჩნდათ და მოძრაობა ამერიკის სხვა ქალაქებსაც მოედო. ცოტა ხნის წინ დეტროიტის მცხოვრებლებმა საკუთარი ხელით ნაქსოვი ქუდები, კაშნები და ხელთათმანები მთელ ქალაქში ჩამოკიდეს და შესაბამისი წერილიც დაურთეს.

შამპანური მეხსიერებას აუმჯობესებს

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან გაანაცხადეს, რომ მეხსიერების შენარჩუნების ყველაზე სასიამოვნო მეთოდს მიაკვლიეს. რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე რაოდენობით შამპანურის მიღება ააქტიურებს ტვინი იმ უჯრედებს, რომელიც ახალი ინფორმაციის მიღებასა და ძველის შენახვაზეა პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, თუკი კვირაში ერთხელ ერთ ბოკალ შუშხუნა ღვინოს მი-ირთმევთ, საღ გონებას შეინარჩუნებთ. ადრე სწავლულებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დადებითი თვისება მხოლოდ წითელ ღვინოს ჰქონდა, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს ფლავანოიდებს. მართალია, შამპანურს და სხვა ცქრიალა ღვინოები მსგავს ნივთიერებებს არ შეიცავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაზე მეინც საკმაოდ დადებით გავლენას ახდენს. ამ გავლენას კი მკვლევარები სასმელში ფენოლებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების არსებობას უკავშირებენ.

ჩინელებს მოხუცების მონახულება დაავალდებულეს

ჩინეთის მოსახლეობას, კანონის ძალით, მოხუცი ახლობლების მონახულება და მათზე ზრუნვა დაავალდებულეს. ახალი კანონი უკვე ამოქმედდა. ნათესავებმა ხშირად უნდა მოინახულონ მოხუცი ახლობლები. დამსაქმებლებმა კი, თავის მხრივ, თანამშრომლოებს ამ საქმეში ხელი უნდა შეუწყონ და შვებულება მისცენ. გარდა ამისა, ქვეყანაში მოხუცების დღეც დაწესდა, რომელიც შემოდგომით აღინიშნება. ჩინელებისთვის ახალი ნორმების დაწესება იმას უკავშირდება, რომ მოხუცი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება და დაახლოებით 180 მილიონია. ახლობლები კი მათზე სულ უფრო ნაკლებად ზრუნავენ. სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში „ცარიელი ბუდის" ეფექტი საკმაოდ გავრცელებულია — ოჯახების თითქმის 50%-ში შვილები მშობლებისგან ცალკე ცხოვრობენ. ჩინეთის ხელისუფლებამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ გახშირდა შემთხვევები, როცა ოჯახში მოხუცების უფლებები ირღვევა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	1	9	8	6	2	3	5	4
6	4	8	5	7	3	2	1	9
5	3	2	1	4	9	8	7	6
4	8	7	6	5	1	9	3	2
3	9	1	7	2	8	6	4	5
2	6	5	9	3	4	1	8	7
1	7	4	3	9	6	5	2	8
8	2	6	4	1	5	7	9	3
9	5	3	2	8	7	4	6	1

სტანდარტი

8	7	5	6	1	4	9	3	2
3	2	1	9	5	8	7	6	4
9	6	4	7	2	3	1	8	5
7	8	9	5	6	2	4	1	3
5	3	2	4	9	1	6	7	8
4	1	6	3	8	7	5	2	9
6	5	3	8	7	9	2	4	1
2	9	8	1	4	6	3	5	7
1	4	7	2	3	5	8	9	6

რთული

4	1	3	2	9	8	7	5	6
5	9	8	7	6	4	3	2	1
2	6	7	5	1	3	9	8	4
3	7	6	9	4	5	2	1	8
1	2	5	3	8	6	4	9	7
8	4	9	1	2	7	6	3	5
9	8	4	6	5	2	1	7	3
7	5	1	4	3	9	8	6	2
6	3	2	8	7	1	5	4	9

ექსპერტი

5	8	7	6	2	4	3	1	9
4	2	3	1	5	9	6	7	8
1	9	6	3	8	7	5	4	2
3	4	2	9	1	6	8	5	7
9	1	8	7	4	5	2	6	3
7	6	5	8	3	2	1	9	4
2	7	9	5	6	3	4	8	1
8	5	4	2	9	1	7	3	6
6	3	1	4	7	8	9	2	5

მე-10 გვერდი: 1. პენალტი; 2. ჯამბაზი; 3. პერიმეტრი; 4. ნაზიბროლა; 5. ლევი; 6. იპრი; 7. ჯიჰადი; 8. მესა; 9. აზერბაიჯანი; 10. ირიდა; 11. ამება; 12. ეტრატი; 13. აუტი; 14. „რევიზორი"; 15. აჰასფერი; 16. ედო; 17. ანა; 18. რვა; 19. რიაზანი; 20. აიმაკი; 21. აბრა; 22. ეტრურია; 23. ცუნამი; 24. პრაია; 25. ვანი; 26. ტროტილი; 27. არალია; 28. აბზაცი; 29. აღათია; 30. ლია; 31. მწდე; 32. ბეატრიჩე; 33. სი; 34. აგა; 35. ფრი; 36. ჯანი; 37. „კოპელია"; 38. ბინა; 39. ნანდუ; 40. ყაისნაღი; 41. ხაჭო; 42. ლიტა; 43. ბანკი; 44. სენა; 45. ყდა; 46. იაგანი; 47. სადა; 48. ტინი; 49. ალა; 50. ვან; 51. სინაი; 52. ურო; 53. მათე; 54. სიტე; 55. ნინევია; 56. უმა; 57. კაბადონი; 58. აისი; 59. ბანა; 60. ტუზი; 61. მაჩუ; 62. ფხა; 63. იეთიმ; 64. ანოა; 65. მი; 66. უთო; 67. იბსენი; 68. ალია.

მე-12 გვერდი: 1. გრავიტაცია; 2. ჰამაკი; 3. გერუსია; 4. ანკლავი; 5. იაბო; 6. ჰერალდიკა; 7. მაკულატურა; 8. კათეტი; 9. იალტა; 10. აგვისტო; 11. ბეკარი; 12. რიკოთი; 13. ირაო; 14. ალეკ; 15. ბაასი; 16. ბაწარი; 17. ავგია; 18. „ლოლიტა"; 19. ლირა; 20. ლავიწი; 21. ესტუარი; 22. ფრანი; 23. იშტა; 24. ფრესკა; 25. აგრაბა; 26. ომსკი; 27. კროუ; 28. კონფუცი; 29. კრისტო; 30. ბატრაქოლოგია; 31. რეკორდი; 32. ქაოსი; 33. ტონი; 34. ეტიკეტი; 35. ქილია; 36. სირ; 37. იუკა; 38. კენგურუ; 39. რტო; 40. აარონი; 41. ლისეო; 42. ურნა; 43. საურავი; 44. ყაშყაში; 45. რიტურნელი; 46. ცერი; 47. ნაი; 48. ქადა; 49. აყირო; 50. ინია; 51. აუტი; 52. ერი; 53. ორბიტა; 54. ოფოფი; 55. აგული; 56. „აბბა"; 57. ვაიო; 58. „ალფი"; 59. ონი; 60. როდენი; 61. ყრუ; 62. შტოში; 63. ულუმბო; 64. ბადაგი; 65. იქსი; 66. ძაბრი; 67. კაბუკი; 68. სირი; 69. გუშინ; 70. იეტი; 71. დასტამბო; 72. ბოტი; 73. მაკაო; 74. ბე; 75. სარფი; 76. ქვა; 77. გალა; 78. ტავრიდა; 79. ალისა; 80. ლა; 81. მაიკ; 82. ია; 83. ენოტი; 84. სილა; 85. უხა.

ყველაზე ძვირფასი ყველი

ყველი, რომელსაც „პულე" ჰქვია და სერბიაში, ვირების ერთ-ერთ ფერმაში იწარმოება, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ყველად აღიარეს. ერთი კილოგრამი ამ პროდუქტის ფასი 1300 დოლარია. ამ ნატურალური და სასასრგებლო ყველის ასეთი ფასი იმითაა განპირობებული, რომ მხოლოდ ერთი კილოგრამი პროდუქტის დასამზადებლად ვირის 25 ლიტრი ახალმოწველილი რძეა საჭირო. ერთი ლიტრი რძე კი 40 ევრო ღირს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეღამის განმავლობაში ვირი მხოლოდ 200 მილილიტრამდე რძეს იწველის. ასე რომ, ყველი „პულე" მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული დელიკატესების სიაში შევიდა, სადაც მის გარდა იტალიური ტრუფელი, ყველაზე ძვირიანი ჰამბურგერი ლას-ვეგასიდან, შავი ხიზილალას ომლეტი და სხვა კერძებია. სპეციალისტების განცხადებით, ქათქათა თეთრი, ფხვიერი ყველი „პულე" გემოთი ესპანურ მანჩეგოს წააგავს.



1. გულივერის „ლიტერატ. მამა“
2. ქიმიური ელემენტი, ლითონი
3. ამერიკული სამეკლესიო ცეკვა
4. ტროის უკანასკნელი მეფე
5. ებრაელთა სულიერი მოძღვარი
6. შეწეული სტრიქონი ტექსტში
7. ბაღის დეკორატიული ყვავილი
8. დედალოსის ურჩი ვაჟიშვილი
9. მხატვრული ლიტერატურის ჟანრი
10. (მედ.) სიარულის უნარის დაკარგვა
11. თვითმფრინავის ფრთების ბოლოების მოძრ. ზედაპირი
12. ტოლგვერდა სწორკუთხედი
13. იაპონური მინისკულპტურის ხელოვნება
14. მიწის ფართობის საზომი ინგლისში
15. ცეცხლგამძლე ყუთი
16. „ქალაქი ანარას“ რეჟისორი
17. ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლე
18. ქსოვილის გასაყენთი ნივთიერება
19. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში
20. ბალტიის ზღვის აუზის მდინარე
21. რძეში მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
22. პურის ნაჭერი კარაქით და ყველით
23. სოფელი სტეფანწმინდის რაიონში
24. ჩინელი კუნგ-ფუს ოსტატი და მსახიობი
25. საწარმოთა გაერთიანების ფორმა
26. ერთკუზიანი აქლემი
27. ხის ან ბურჩქის გამონაზარდი
28. ქალაქის უპირველესი მოხელე ძვ. საქართველოში
29. „თიხის ტაფა“
30. ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი
31. წარჩინებული პირი სპარსეთის შაჰის კარზე
32. იშვიათი, განუმეორებელი ეგზემპლარი
33. ზეესის ფარი
34. პოპულარული კინომუსიკა
35. მხამიანი თევზი, იაპონური დელიკატესი
36. აბრეშუმის ჭიის საყვარელი ხე
37. მატარებლების სადგომი
38. სოსოიას რუსის სახელი „მე ვხედავ მზეში“
39. ვაზის მოკ. აჭრილი წყვილმტევნიანი რქა
40. კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი გერმანიაში
41. მრავალწლოვანი ხვიარა მცენარე
42. „სამი მუშკეტერის“ ავტორი
43. კუნძული პარიზში, მდინარე სენაზე
44. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
45. ხის დიდი სახურავიანი ყუთი
46. ხელის საგრილობელი
47. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
48. სასვენი ნიშანი
49. სანელებელი მცენარე, კარდამონი
50. კუნძულოვანი სახელმწიფო ... და ტობაგო
51. ყოფილი კამერუნელი მეკარე ტომას ...
52. ტრადიციული ცეკვა კაბარეში
53. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
54. ფესვის ამოღების ნიშანი მათემატიკაში
55. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
56. ბიბლიოთეკრის ნოეს უმცროსი ვაჟი
57. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
58. ყველაზე გრძელი მდინარე ჩილეში
59. სამოთხის ბაღი
60. პატარა ძაღლი
61. პატარა გამოქვაბული კლდეში
62. სიხშირის ალება კორსიკაზე
63. ხელოვნური საერთაშ. ენა
64. გერმანული ავტომარკა
65. კომპოზიტორი ჯემალ ...
66. ფრანგი პეიზაჟისტი
67. კომუნა საფრანგეთში
68. რომაული წარმოშობის სომეხი ქალწული და მოწამე
69. ცის ღმერთი ბაბილონურ მითოლოგიაში
70. ორი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
71. მტაცებელი თუთიყუში
72. მუსიკალური გამის VII ნოტი
73. სევანის ტბის თევზი
74. ბერძნული ასო, რომელიც მათემატიკაში აღნიშნავს 3,14... რიცხვს
75. ესპანეთის საკურორტო კუნძული
76. გერმანული კოსმეტიკური ფირმა
77. ბეისბოლის მონათესავე თამაში რუმინეთში
78. ვაზების მწკრივი ვენახში
79. სარეკლამო გასანათებელ ხელსაწყოებში გამოყენებული გაზი
80. მუსიკალ. გამის V ნოტი
81. ჭერის ანტიპოდი
82. არტემიდეს ტყუპისცალი ძმა

მანათობელი ნაყინს ჰყიდიან

„მწვანე კონტინენტზე“, ქალაქ მელბურნში მაღაზია გაიხსნა, სადაც მანათობელი ნაყინი იყიდება. ეს უჩვეულო დესერტი, რომელსაც Neon Nitro უწოდეს, სამი სახეობისაა — ჟოლოს, ანანას-ლაიმისა და მანგო-მარაკუიას გემოთი. ნაყინის ნათება თხევადი საკვები ულტრაიისფერი რეაქტიული საღებავის დამსახურებაა, რომლის გამოყენებაც ავსტრალიაში ნებადართულია. მაღაზიის მფლობელის თქმით, სურდა, ეს ცივი ტკბილეული 90-იანი წლების სტილში შეექმნა, როცა მოდაში იყო ნეონური განათება. ასეთი ნაყინის ღირებულება 8,50 დოლარია, ვეგანური საკვებია და არ შეიცავს კონსერვანტებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.